პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

KOMUNISTI ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი 2 სექტემბერი 1939 წ. № 201 (5601) ფასი 10 კაპ.

საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის შესახებ დადებული ხელშეკრულების მთავარი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ევროპის ორი ყველაზე დიდი სახელმწიფო შეთანხმდა — ბოლო მოუღოს ერთმანეთთან მტრობას, თავიდან აიცილოს ომის საფრთხე და მშვიდობიანად იცხოვროს ერთმანეთთან.

ვ. მოლოტოვი

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე, რიგგარეშე სესია

საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ

ამხ. მოლოტოვის ინფორმაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1939 წლის 31 აგვისტოს სხდომაზე

ამხანაგებო! უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის შემდეგ საერთაშორისო მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. პირიქით, იგი კიდევ უფრო დაძაბული გახდა.

ცალკეულ მთავრობათა მიერ ამ დაძაბულობის აღმოსაფხვრელად გადადგმულმა ნაბიჯებმა ცხადჰყვეს, რომ ეს ნაბიჯები აშკარად არასაკმაოა. ეს ნაბიჯები უშედეგო აღმოჩნდა. ეს შეეხება ევროპას. უკეთესობის მხრივ ცვლილება არც აღმოსავლეთ აზიაში მომხდარა. იაპონიას, ისევე როგორც წინათ, თავისი ჯარით უჭირავს ჩინეთის მთავარი ქალაქები და მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ამასთან იგი ხელს არ იღებს აგრეთვე მტრულ აქტებზე სსრ კავშირის მიმართ. მდგომარეობა აქაც ვითარების შემდგომი გამწვავების მიმართულებით შეცვალა.

ამ ვითარებაში უდიდესი დადებითი მნიშვნელობა აქვს თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადებას სსრ კავშირსა და გერმანიას შორის, რაც თავიდან გვაცილებს გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ომის საფრთხეს. ამ ხელშეკრულების მნიშვნელობა რომ უფრო სრულად განვმარტო, წინასწარ მომინდება შეჩერება იმ მოლაპარაკებაზე, რომელიც უკანასკნელ თვეებში სწარმოებდა მოსკოვში ინგლისსა და საფრანგეთის წარმომადგენლებთან.

თქვენ იცით, რომ ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება ევროპაში აგრესიის წინააღმდეგ ურთიერთდახმარების პაქტის დადების შესახებ ჯერ კიდევ აპრილში დაიწყო. მართალია, ინგლისის მთავრობის პირველი წინადადებანი, როგორც ცნობილია, სრულიად მიუღებელი იყო. ეს წინადადებანი უგულებელჰყოფდნენ ასეთი მოლაპარაკების ძირითად წანამძღვარებს — უგულებელჰყოფდნენ ურთიერთგალდებულებისა და თანაბარ ვალდებულებათა პრინციპს. მიუხედავად ამისა, საბჭოთა მთავრობას უარი არ უთქვამს მოლაპარაკებაზე და, თავის მხრივ, თავისი წინადადებანი წამოაყენა. ჩვენ ანგარიშს ვუწევდით იმას, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებისათვის ძნელი იყო თავიანთი პოლიტიკის ბურჟუისისათვის მძაფრად ებრუნებინათ პირი საბჭოთა კავშირისადმი არამეგობრული ურთიერთობიდან, რასაც ადგილი ჰქონდა სულ ამ ცოტა ხნის წინათ, სსრ კავშირთან სერიოზული მოლაპარაკებისაკენ თანაბარ ვალდებულებათა პირობებით. მაგრამ, შემდგომმა მოლაპარაკებამ არ გაამართლა თავისი თავი.

ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება ოთხი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. ამ მოლაპარაკებამ ხელი შეგვიწყო მთელი რიგი საკითხების გამოარკვევაში. მან, ამასთან ერთად, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს დაანახვა, რომ საერთაშორისო საქმეებში საბჭოთა კავშირს სერიოზულად უნდა გაუწიონ ანგარიში. მაგრამ ეს მოლაპარაკება გადაულახავ დაბრკოლებებს წააწყდა. რა თქმა უნდა, საქმე ცალკეულ „ფორმულირებებსა“ და ხელშეკრულების (პაქტის) პროექტის ამა თუ იმ პუნქტებში როი მდგომარეობდა. არა. საქმე უფრო მნიშვნელოვან რამეში მდგომარეობდა.

აგრესიის წინააღმდეგ ურთიერთდახმარების პაქტის დადებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა აზრი, თუ ინგლისი, საფრანგეთი და საბჭოთა კავშირი შეთანხმდებოდნენ აგრესორის თავდასხმის წინააღმდეგ გარკვეულ სამხედრო ღონისძიებათა შესახებ. ამიტომ, განსაზღვრული დროის განმავლობაში, მოსკოვში ინგლისისა და საფრანგეთის არმიების წარმომადგენლებთან სწარმოებდა არა მარტო პოლიტიკური მოლაპარაკება, არამედ სამხედრო მოლაპარაკებაც. მაგრამ ამ სამხედრო მოლაპარაკებიდან არაფერი გამოვიდა. ეს მოლაპარაკება იმას წააწყდა, რომ პოლონეთმა, რომლისთვისაც საერთო გარანტიები უნდა მიეცათ ინგლისს, საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს, უარი სთქვა საბჭოთა კავშირის მხრივ სამხედრო დახმარებაზე. პოლონეთის ამ წინააღმდეგობის დაძლევა შეუძლებელი გახდა. უფრო მეტიც, მოლაპარაკებამ დაგვანახვა, რომ ინგლისი არც ცდილობს დასძლიოს პოლონეთის ეს წინააღმდეგობა, არამედ, პირიქით, მხარს უჭერს მას. გასაგებია, რომ, როდესაც პოლონეთის მთავრობა და მისი მთავარი მოკავშირე ასეთ პოზიციას დაადგნენ აგრესიის შემთხვევაში საბჭოთა კავშირის მხრივ სამხედრო დახმარების გაწევის საქმის მიმართ, ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებას არ შეეძლო კარგი შედეგები მოეცა. ამის შემდეგ ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებას ჩაშლა მოელის.

რა დაგვანახვა ინგლისთან და საფრანგეთთან წარმოებულმა მოლაპარაკებამ?

ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებამ დაგვანახვა, რომ ინგლისისა და საფრანგეთის პოზიცია მთლიანად გამსჭვალულია აშკარა წინააღმდეგობებით.

თვითონ განსაჯეთ.

ერთის მხრივ, ინგლისი და საფრანგეთი სსრ კავშირისაგან მოითხოვდნენ პოლონეთისათვის სამხედრო დახმარებას აგრესიის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, სსრ კავშირი მზად იყო დაეკმაყოფილებინა ეს მოთხოვნა იმ პირობით, რომ სათანადო დახმარებას მიიღებდა თავისთვის ინგლისისა და საფრანგეთისაგან. მეორე მხრივ, იმავე ინგლისსა და საფრანგეთს იქვე გამოჰყავდათ სცენაზე პოლონეთი, რომელიც გადაჭრით უარს ამბობდა სსრ კავშირის მხრივ სამხედრო დახმარების მიღებაზე. მოდით და მიაღწიეთ ასეთ პირობებში შეთანხმებას ურთიერთდახმარების შესახებ, როდესაც წინასწარ აცხადებენ, რომ სსრ კავშირის მხრივ დახმარება საჭირო არ არის და თავზე მოხვეულია.

შემდეგ. ერთის მხრივ, ინგლისი და საფრანგეთი, საბჭოთა კავშირს აგრესიის წინააღმდეგ სამხედრო დახმარების გარანტიებს აძლევდნენ იმ პირობით, რომ სათანადო დახმარება მიეღოთ სსრ კავშირისაგან. მეორე მხრივ, თავიანთ დახმარებას ისინი ახვევდნენ ისეთ შენიშვნებში, არაპირდაპირი აგრესიის შესახებ, რომლებსაც შეეძლოთ ფიქციად გადაექციათ ეს დახმარება და რომლებიც მათ ფორმალურ – იურიდიულ საფუძველს აძლევდნენ თავი დაეძვრინათ დახმარების გაწევისაგან და აგრესორის წინაშე იზოლაციის მდგომარეობაში ჩაეყენებინათ სსრ კავშირი. მოდით და გაარჩიეთ ასეთი „ურთიერთდახმარების პაქტი“ ცოტად თუ ბევრად შენიღბული მოტყუების პაქტისაგან. **(დარბაზში მხიარული გამოცოცხლებაა).**

შემდეგ. ერთის მხრივ, ინგლისი და საფრანგეთი, ხაზგასმით აღნიშნავდნენ, ურთიერთდახმარების პაქტის შესახებ მოლაპარაკების მნიშვნელოვანი და სერიოზულიაო, ამასთან სსრ კავშირისაგან მოითხოვდნენ ამ საქმისადმი უაღრესად სერიოზულ დამოკიდებულებას და პაქტთან დაკავშირებული საკითხების რაც შეიძლება სწრაფად გადაჭრას. მეორე მხრივ, ისინი თვითონ მეტისმეტ სინელეს და სრულიად არასერიოზულ დამოკიდებულებას იჩენდნენ მოლაპარაკებისადმი, ანდობდნენ რა ამ საქმეს მეორეხარისხოვან პირებს, რომლებიც საკმაო რწმუნებებით არ იყვნენ აღჭურვილნი. საკმარისია ითქვას, რომ ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო მისიები მოსკოვში ისე ჩამოვიდნენ, რომ მათ განსაზღვრული რწმუნებანი და რაიმე სამხედრო კონვენციის ხელმოწერის უფლება არა ჰქონდათ. **(გამოცოცხლება დარბაზში).** უფრო მეტიც, ინგლისის სამხედრო მისია მოსკოვში ისე ჩამოვიდა, რომ საერთოდ მას არავითარი მანდატი არ ჰქონდა **(საერთო სიცილი)** და მხოლოდ ჩვენი სამხედრო მისიის მოთხოვნით წარმოადგინა მან, უკვე მოლაპარაკების შეწყვეტის წინ, თავისი წერილობითი რწმუნებანი. მაგრამ ესეც უაღრესად გაურკვეველი ხასიათის რწმუნებანი, ესე იგი არასრულფასოვანი რწმუნებანი იყო. მოდით და გაარჩიეთ მოლაპარაკებისადმი ინგლისისა და საფრანგეთის ასეთი არასერიოზული დამოკიდებულება მოლაპარაკობანას ქარაფშუტული თამაშისაგან, რომლის მიზანიც არის მოლაპარაკების საქმის დისკრედიტაცია.

ასეთი იყო სსრ კავშირთან მოლაპარაკებაში ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციების შინაგანი წინააღმდეგობანი, რომლებმაც მოლაპარაკების ჩაშლა გამოიწვია.

სად მარხია ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციებში არსებულ ამ წინააღმდეგობათა ფესვი?

მოკლედ საქმე შემდეგში მდგომარეობს. ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს, ერთის მხრივ, ეშინიათ აგრესიისა და ამის გამო უნდოდათ ჰქონოდათ ურთიერთდახმარების პაქტი საბჭოთა კავშირთან, რამდენადაც ეს თვითონ მათ აძლიერებს, რამდენადაც ეს ინგლისსა და საფრანგეთს აძლიერებს. მაგრამ, მეორე მხრივ, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები შიშობდნენ, რომ სსრ კავშირთან ურთიერთდახმარების სერიოზული პაქტის დადებას შეეძლო გაეძლიერებინა ჩვენი ქვეყანა, შეეძლო გაეძლიერებინა საბჭოთა კავშირი, რაც, თურმე, არ შეეფერება მათს პოზიციებს. უნდა აღვიაროთ, რომ მათში ამ შიშმა სძლია სხვა მოსაზრებებს. მხოლოდ ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიგოთ ინგლისისა და საფრანგეთის მითითებებით მომქმედი პოლონეთის პოზიცია.

გადადგიდგარ საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულებაზე.

გადაწყვეტილება სსრ კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ მიღებულ იქნა მას შემდეგ, რაც საფრანგეთთან და ინგლისთან წარმოებული სამხედრო მოლაპარაკება ჩიხში მოემწყვდა აღნიშნული გადაულახავი უთანხმოების გამო. რამდენადაც ამ მოლაპარაკებამ დაგვანახვა, რომ საფუძველი არა გვაქვს ურთიერთდახმარების პაქტის დადების იმედი ვიქონიოთ, ჩვენ არ შეგვეძლო არ დაგვეყენებინა ჩვენს წინაშე სხვა შესაძლებლობის საკითხი—უზრუნველგვეყო მშვიდობიანობა და მოგვესპო გერმანიასა და სსრ კავშირს შორის ომის საფრთხე. თუ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს არ უნდოდათ ამისთვის ანგარიშის გაწევა,—ეს უკვე მათი საქმეა. ჩვენი მოვალეობაა — ვიფიქროთ საბჭოთა ხალხის ინტერესებზე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ინტერესებზე. **(ხანგრძლივი ტაში).** მით უმეტეს, ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ სსრ კავშირის ინტერესები სხვა ქვეყნების ხალხთა ძირითად ინტერესებს ემთხვევა. **(ტაში).**

მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა.

უნდა მომხდარიყო კიდევ მეორე გარემოება, რომ საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულება განხორციელებულიყო. საჭირო იყო, რომ გერმანიის საგარეო პოლიტიკაში მომხდარიყო შემობრუნება საბჭოთა კავშირთან კეთილმეზობლური ურთიერთობისაკენ. მხოლოდ როცა ეს მეორე პირობა შეიქმნა, მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენთვის ნათელი გახდა გერმანიის მთავრობის სურვილი შეეცვალა თავისი საგარეო პოლიტიკა სსრ კავშირთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიმართულებით, — ნაპოვნი იქნა საფუძველი საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დასადებად.

ყველასათვის ცნობილია, რომ უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც ნაციონალ-სოციალისტები ხელისუფლების სათავეში ჩადგნენ, გერმანიასა და სსრ კავშირს შორის პოლიტიკური ურთიერთობა დაძაბული იყო. ცნობილია აგრეთვე, რომ მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური სისტემების განსხვავების მიუხედავად, საბჭოთა მთავრობა ცდილობდა ნორმალური საქმიანი და პოლიტიკური ურთიერთობა დაემყარებინა გერმანიასთან. ახლა საჭირო აღარ არის დავუბრუნდეთ უკანასკნელი წლების ამ ურთიერთობის ცალკეულ მომენტებს, ამ მომენტებს, ამხანაგო დეპუტატებო, თქვენ ისედაც კარგად იცნობთ. მაგრამ უნდა მოგაგონოთ ჩვენი საგარეო პოლიტიკის ის განმარტება, რომელიც მოცემულ იქნა რამდენიმე თვის წინათ პარტიის XVIII ყრილობაზე.

ლაპარაკობდა რა ჩვენს ამოცანებზე საგარეო პოლიტიკის დარგში, ამხ. სტალინმა მაშინ ასე განმარტა ჩვენი ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან:

„1. მომავალშიაც გაატაროს მშვიდობიანობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი კავშირის განმტკიცების პოლიტიკა;

2. დაიცვას სიფრთხილე და საშუალება არ მისცეს ომის პროვოკატორებს, რომლებიც მიჩვეული არიან სხვისი ხელით ნარის გლეჯას, კონფლიქტებში ჩაითრიონ ჩვენი ქვეყანა“. **(გამოცოცხლება დარბაზში).**

როგორც ხედავთ, ამ დასკვნებში ამხ. სტალინი ლაპარაკობდა იმაზე, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს საქმიანი კავშირურთიერთობის განმტკიცებას **ყველა** ქვეყანასთან. მაგრამ, ამასთან ერთად, ამხ. სტალინი გვაფრთხილებდა ომის პროვოკატორების წინააღმდეგ, რომლებსაც თავიანთი ინტერესებისათვის სურთ სხვა ქვეყნებთან კონფლიქტებში ჩაითრიონ ჩვენი ქვეყანა.

ამჟღავნებდა რა იმ ხმაურს, რომელიც ინგლის-საფრანგეთისა და ჩრდილოეთ-ამერიკის პრესამ ასტეხა საბჭოთა უკრაინის დაპყრობის გერმანული „გეგმების“ გამო, ამხ. სტალინი მაშინ ამბობდა:

„გამოდის, რომ ეს საეჭვო ხმაური მიზნად ისახავდა აღენთო საბჭოთა კავშირის გაყფთრება გერმანიის წინააღმდეგ, მოეწამლა ატმოსფერო და პროვოკაციულად გამოეწვია კონფლიქტი გერმანიასთან საამისოდ აშკარა საფუძვლების უქონლად“.

როგორც ხედავთ, ამხ. სტალინი პირდაპირ მიზანში ურტყამდა, როდესაც ამჟღავნებდა დასავლეთ-ევროპის იმ პოლიტიკოსთა ოინებს, რომლებიც ცდილობდნენ შუბლით შეეჯახებინათ ერთმანეთისათვის გერმანია და საბჭოთა კავშირი.

უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენს ქვეყანაშიაც მოიპოვებოდა ზოგიერთი ბეცი ადამიანი, რომლებიც, გამარტივებული ანტიფაშისტური აგიტაციით გატაცებულნი, ივიწყებდნენ ჩვენი მტრების ამ პროვოკატორულ მუშაობას. ამხანაგმა სტალინმა, ითვალისწინებდა რა ამ გარემოებას, ჯერ კიდევ მაშინ დააყენა საკითხი, რომ შესაძლებელია სხვა, არამტრული, კეთილმეზობლური ურთიერთობა გერმანიასა და სსრ კავშირს შორის.

ახლა სჩანს, რომ გერმანიაში საერთოდ სწორად გაიგეს ამხ. სტალინის ეს განცხადებანი და პრაქტიკული დასკვნები გამოიტანეს აქედან. **(სიცილი).**

საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადება იმას მოწმობს, რომ ამხ. სტალინის ისტორიული წინასწარგანჭვრეტა ბრწყინვალედ გამართლდა. **(მჭუხარე ოვაცია ამხ. სტალინის პატივსაცემად).**

ჯერ კიდევ მიმდინარე წლის გაზაფხულზე გერმანიის მთავრობამ წინადადება მოგვცა აღგვედგინა საეჭვო - საკრედიტო მოლაპარაკება. მოლაპარაკება მალე განახლდა. ურთიერთდათმობის გზით შესაძლებელი გახდა შეთანხმების მიღწევა. როგორც ცნობილია, ეს შეთანხმება ხელმოწერილ იქნა 19 აგვისტოს.

ეს გერმანიასთან პირველი სავაჭრო - საკრედიტო შეთანხმება როდი იყო არსებული მთავრობის დროს. მაგრამ ეს შეთანხმება უკეთესობის მხრივ განსხვავდება არა მარტო 1935 წლის შეთანხმებისაგან, არამედ ყველა წინანდელი შეთანხმებისაგანაც, თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ჩვენ არა გვქონია არცერთი ესოდენ ხელსაყრელი ეკონომიური შეთანხმება ინგლისთან, საფრანგეთთან ან რომელიმე სხვა ქვეყანასთან. შეთანხმება ხელსაყრელია ჩვენთვის თავისი საკრედიტო პირობების მიხედვით (შვიდი წლის კრედიტი) და იგი საშუალებას გვაძლევს დამატებით შევუკვეთოთ დიდძალი რაოდენობით ჩვენთვის საჭირო მოწყობილობა. ამ შეთანხმების ძალით სსრ კავშირი გერმანიას მიჰყიდის ჩვენი ზედმეტი ნედლეულის განსაზღვრულ რაოდენობას მისი მრეწველობისათვის, რაც სავსებით შეეფერება სსრ კავშირის ინტერესებს. რად უნდა ვთქვათ უარი ასეთ ხელსაყრელ ეკონომიურ შეთანხმებაზე? იმათი გულის მოსაგებად ხომ არა, ვისაც საერთოდ არ უნდა, რომ საბჭოთა კავშირს ხელსაყრელი ეკონომიური შეთანხმებანი ჰქონდეს სხვა ქვეყნებთან? ამავე დროს ცხადია, რომ გერმანიასთან დადებული სავაჭრო-საკრედიტო შეთანხმება მთლიანად შეესაბამება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ინტერესებს და თავდაცვის ინტერესებს. ასეთი შეთანხმება მთლიანად შეესაბამება გადაწყვეტილებებს ჩვენი პარტიის XVIII ყრილობისა, რომელმაც მოიწონა ამხ. სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ საჭიროა „საქმიანი კავშირის განმტკიცება ყველა ქვეყანასთან“.

ხოლო როდესაც გერმანიის მთავრობამ სურვილი გამოსთქვა გააუმჯობესოს აგრეთვე პოლიტიკური ურთიერთობაც, საბჭოთა მთავრობას საფუძველი არა ჰქონდა უარი ეთქვა ამაზე. სწორედ მაშინ წამოიჭრა თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების საკითხი.

ახლა გაისმის ხმები, რომლებშიაც გამოსჭვივის საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის პოლიტიკური ურთიერთობის დაწყებული გაუმჯობესების სრულიად უბრალო საფუძვლების გაუგებლობა.

მაგალითად, გულუბრყვილოდ გვეკითხებიან: როგორ შეეძლო საბჭოთა კავშირს დათანხმებულიყო ფაშისტური ტიპის სახელმწიფოსთან პოლიტიკური ურთიერთობის გაუმჯობესებაზე? განა ეს შესაძლებელია? მაგრამ ამასთან ივიწყებენ, რომ საქმე ეხება არა ჩვენს დამოკიდებულებას სხვა ქვეყნის შინაგან წესებისადმი, არამედ საგარეო ურთიერთობას ორ სახელმწიფოს შორის. ივიწყებენ იმას, რომ ჩვენ ვდგევართ სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩაუთევლობის პოზიციაზე და ამის შესაბამისად ვიცავთ ჩვენს საკუთარ შინაურ საქმეებში რაიმე ჩარევის შეუწყნარებლობას. ივიწყებენ აგრეთვე ჩვენი საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვან პრინციპს, რომელიც ამხ. სტალინმა ასე ჩამოაყალიბა ჯერ კიდევ პარტიის XVIII ყრილობაზე:

„ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობიანობას და საქმიანი კავშირის განმტკიცებას ყველა ქვეყანასთან, ვდგევართ და ვიდგებით ამ პოზიციებზე, რამდენადაც ეს ქვეყნები ასეთსავე ურთიერთობაში იქნებიან საბჭოთა კავშირთან, რამდენადაც ისინი არ შეეცდებიან დაარღვიონ ჩვენი ქვეყნის ინტერესები“.

ამ სიტყვების აზრი სავსებით ნათელია: საბჭოთა კავშირი (ცდილობს კეთილმეზობლური ურთიერთობა იქონიოს **ყველა** არასაბჭოთა ქვეყანასთან, **რამდენადაც** ეს ქვეყნები ამავე პოზიციას იკავებენ საბჭოთა კავშირის მიმართ.

არასაბჭოთა ქვეყნებთან ჩვენს საგარეო პოლიტიკაში ჩვენ ვიდექით და ვდგევართ საბჭოთა სახელმწიფოსა და კაპიტალისტური ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ცნობილი ლენინური პრინციპის ბაზაზე. თუ როგორ ტარდებოდა პრაქტიკულად ეს პრინციპი, შეიძლებოდა გვეჩვენებინა უამრავი მაგალითით, მაგრამ რამდენიმე მაგალითით დავკმაყოფილდები. მაგალითად, ჩვენ 1933 წლიდან გვაქვს თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის ხელშეკრულება ფაშისტურ იტალიასთან. დღემდე არავის მოსვლია აზრად გაეცა შეჭრებინა ამ ხელშეკრულების წინააღმდეგ. და ეს გასაგებიც არის, რამდენადაც ასეთი ხელშეკრულება სსრ კავშირის ინტერესებს შეეფერება, იგი სსრ კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ჩვენს პრინციპსაც შეესაბამება. ჩვენ გვაქვს თავდაუსხმელობის ხელშეკრულებანი აგრეთვე პოლონეთთან და ზოგიერთ სხვა ქვეყანასთან, რომელთა ნახევრადფაშისტური წყობილება ყველასათვის ცნობილია. მაგრამ არც ამ ხელშეკრულებებს გამოუწვევიათ რაიმე ეჭვები. შესაძლებელია, ზედმეტი არ იყოს მოგაგონოთ ისიც, რომ ჩვენ ასეთი ხელშეკრულებებიც კი არა გვაქვს ზოგიერთ სხვა, არაფაშისტურ, ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ ქვეყნებთან, ვთქვათ, იმავე ინგლისთან. მაგრამ ამაში ჩვენ არ მიგვიძღვის ბრალი.

1926 წლიდან გერმანიასთან ჩვენი ურთიერთობის პოლიტიკური საფუძველი გახდა ხელშეკრულება ნეიტრალიტეტის შესახებ, რომელსაც უკვე გერმანიის ახლანდელმა მთავრობამ გაუგრძელა ვადა 1933 წელს. ნეიტრალიტეტის ეს ხელშეკრულება ამჟამადაც მოქმედებს.

საბჭოთა მთავრობას წინათაც სასურველად მიაჩნდა შემდგომი ნაბიჯი გადადგმა წინ გერმანიასთან პოლიტიკური ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ, მაგრამ პირობები იმგვარად მოეწყო, რომ ეს მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი. მართალია, ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა ურთიერთდახმარების პაქტზე, როგორც ეს ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების დროს იყო, არამედ მხოლოდ თავდაუსხმელობის ხელშეკრულებაზე. ამის მიუხედავად, თანამედროვე პირობებში ძნელია ჯეროვანად არ შეაფასო საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულების საერთაშორისო მნიშვნელობა.

აი რატომ იყო, რომ ჩვენ დადებითად მოვეკიდეთ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ფონ რიბენტროპის მოსკოვში ჩამოსვლას.

1939 წლის 23 აგვისტო, როდესაც ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ, დიდი ისტორიული მნიშვნელობის თარიღად უნდა ჩაითვალოს. სსრ კავშირსა და გერმანიას შორის დადებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულება მობრუნების პუნქტს წარმოადგენს ევროპის ისტორიაში, და არა მარტო ევროპის ისტორიაში.

გერმანიის ფაშისტები ჯერ კიდევ გუშინ სსრ კავშირის მიმართ, ჩვენს მიმართ მტრულ საგარეო პოლიტიკას ატარებდნენ. დიაღ, ჯერ კიდევ გუშინ საგარეო ურთიერთობის დარგში ჩვენ მტრები ვიყავით. მაგრამ, დღეს ვითარება შეიცვალა და ჩვენ მტრები აღარა ვართ. საგარეო ურთიერთობის დარგში პოლიტიკური ხელოვნება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ საკუთარ ქვეყანას მტრები გაუმრავლო, პირიქით, პოლიტიკური ხელოვნება აქ იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი მტრების რიცხვი შეამცირო და მიაღწიო იმას, რომ გუშინდელი მტრები კეთილმეზობლები გახდნენ, რომლებსაც ერთმანეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა აქვთ. **(ტაში).**

ისტორიამ გვიჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანასა და გერმანიას შორის მტრობა და ომები ჩვენი ქვეყნებისათვის სასარგებლო კი არა, საზიანო იყო. 1914-18 წლების ომიდან ყველაზე უფრო დაზარალებულნი რუსეთი და გერმანია გამოვიდნენ. (ხმა: „მართალია“). ამიტომ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ხალხთა ინტერესებს ერთმანეთთან მტრობა კი არ შეადგენს, პირიქით, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ხალხები ერთმანეთთან მშვიდობიან ურთიერთობას საჭიროებენ. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ ბოლო უღებს გერმანიისა და სსრ კავშირს შორის მტრობას, ეს კი ორივე ქვეყნის ინტერესს შეადგენს. მსოფლმხედველობათა და პოლიტიკურ სისტემათა განსხვავება არ უნდა იყოს და არც შეიძლება იყოს დაბრკოლება ამ ორ სახელმწიფოს შორის კარგი პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებისათვის, ისევე როგორც ამგვარი განსხვავება ხელს არ უშლის სსრ კავშირის კარგ პოლიტიკურ ურთიერთობას სხვა არასაბჭოთა, კაპიტალისტურ ქვეყნებთან. მხოლოდ გერმანიისა და სსრ კავშირის მტრებს შეუძლიათ ეცადონ შეჰქმნან და გააღვივონ მტრობა ამ ქვეყნების ხალხთა შორის. ჩვენ მხარს ვუჭერდით და მხარს ვუჭერთ სსრ კავშირის და გერმანიის ხალხთა მეგობრობას, საბჭოთა კავშირის ხალხებსა და გერმანელ ხალხს შორის მეგობრობის განვითარებასა და აყვავებას. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის თავდაუსხმელობის შესახებ დადებული ხელშეკრულების მთავარი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ევროპის ორი ყველაზე დიდი სახელმწიფო შეთანხმდა — ბოლო მოუღოს ერთმანეთთან მტრობას, თავიდან აიცილოს ომის საფრთხე და მშვიდობიანად იცხოვროს ერთმანეთთან. ამით მცირდება ევროპაში შესაძლო სამხედრო შეტაკებათა არე. კიდევაც რომ შეუძლებელი გახდეს სამხედრო შეტაკებათა თავიდან აცილება ევროპაში, ამ საომარ მოქმედებათა მასშტაბი ახლა შეზღუდული იქნება. საქმის ასეთი ვითარებით შეიძლება უკმაყოფილო იყვნენ მხოლოდ ისინი, ვინც საყოველთაო ომს აჩაღებს ევროპაში, ისინი, ვისაც სურს მშვიდობისმოყვარეობის ნიღაბაფარებულმა დაანთოს სრულიად-ევროპის ომის ჩანძარი.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ხელშეკრულებამ ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის პრესაში მრავალი თავდასხმა განიცადა. ამ მხრივ განსაკუთრებით გულმოდგინეობს ზოგიერთი „სოციალისტური“ გაზეთი, რომლებიც სამსახურს უწევენ „მოვანთან“ ნაციონალურ კაპიტალიზმს, სამსახურს უწევენ იმ ბატონებს, რომლებიც მათ კარგ გასამჯელოს აძლევენ **(სიცილი დარბაზში).** გასაგებია, რომ ასეთი ვაჟბატონებისაგან ნამდვილ სიმართლეს არ უნდა მოველოდეთ.

ცდილობენ გააკრცელონ სიცრუე, თითქოს საბჭოთა კავშირ-გერმანიას შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადებამ ხელი შეუშალა ინგლისთან და საფრანგეთთან მოლაპარაკებას ურთიერთდახმარების პაქტის შესახებ. ეს სიცრუე უკვე სასტიკად დაგმობილია ამხ. ვოროშილოვის ინტერვიუში. ნამდვილად კი, როგორც ცნობილია, საქმე სხვანაირად არის. საბჭოთა კავშირმა გერმანიასთან თავდაუსხმელობის პაქტი, სხვათა შორის, იმ გარემოების გამო დასდო, რომ საფრანგეთთან და ინგლისთან მოლაპარაკება გადაულახავ უთანხმოებას წააწყდა და მარკხით დამთავრდა ინგლის-საფრანგეთის მმართველი წრეების მიზეზით.

შემდეგ, იქამდე მიდიან, რომ ჩვენ დანაშაულობად გვითვლიან: ხელშეკრულებაში არ არის პუნქტი იმის შესახებ, რომ მისი დეზონსირება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დამდები ერთერთი მხარე ომში ჩაბმული აღმოჩნდება ისეთ პირობებში, რომლებსაც შეუძლიათ ზოგ ვინმეს გარეგნული საბაბი მისცენ იმისათვის, რომ იგი თავდამსხმელ მხარედ მიიჩნიონ. მაგრამ ამასთან რატომღაც ივიწყებენ, რომ ასეთი პუნქტი და ასეთი შენიშვნა არ არის არც პოლონეთ-გერმანიის ხელშეკრულებაში თავდაუსხმელობის შესახებ, რაც ხელმოწერილ იქნა 1934 წელს და რაც გერმანიამ გააუქმა 1939 წელს პოლონეთის სურვილის წინააღმდეგ, არც ინგლის-გერმანიის დეკლარაციაში თავდაუსხმელობის შესახებ, რაც ხელმოწერილ იქნა სულ რამდენიმე თვის წინათ. კითხვა ისმება, რატომ არ შეუძლია სსრ კავშირს ნება მისცეს თავისთავს მოიქცეს ისე, როგორც დიდი ხანია უკვე მოიქცნენ პოლონეთიც და ინგლისიც?

დასასრულ, მოიპოვებიან ისეთი პირნი, რომლებსაც უყვართ ამოიკითხონ ხელშეკრულებაში იმაზე მეტი, ვიდრე იქ სწერია **(სიცილი).** ამისათვის ათასგვარი ეარაუდითა და შენიშვნით გამოდიან, რათა ამათუიმ ქვეყანაში ეჭვი დაჰბადონ ხელშეკრულებისადმი. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ სრულიად უმწეონი არიან ხელშეკრულების მტრები, რომლებიც სულ უფროდაუფრო ამხელენ თავიანთ თავს, როგორც მტრები საბჭოთა კავშირისაც და გერმანიისაც, და რომლებიც ცდილობენ პროვოკაციულად გამოიწვიონ ომი ამ ქვეყნებს შორის.

ყოველ

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე, რიგგარეშე სესია

საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის პროექტის შესახებ

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხ. კ. ე. ვოროშილოვის მოხსენება

ამხანაგებო, უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო!

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ განსახილველად წარმოგიდგინათ კანონ-პროექტი **„საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“**. ამ კანონის სასიცოცხლო საჭიროება ნაკარნახევია უწინარეს ყოვლისა ჩვენი სტალინური კონსტიტუციით, რომლის დებულებებსაც დღეს არსებული კანონი რამდენადმე ეწინააღმდეგება.

სტალინური კონსტიტუციის მე-132 მუხლი **ამბობს:**

„საყოველთაო სამხედრო ვალდებულება წარმოადგენს კანონს“ და შემდეგ—

„სამხედრო სამსახური მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში წარმოადგენს სსრ კავშირის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობას“. მაშინ როდესაც მომქმედი კანონის პირველი მუხლი რედაქტირებულია **ასე:**

„... სსრ კავშირის თავდაცვა იარაღით ხელში ხორციელდება მხოლოდ მშრომელთა მიერ. არამშრომელ ელემენტებს ეკისრებათ სხვა ვალდებულებათა შესრულება სსრ კავშირის თავდაცვის მომსახურების დარგში“.

გარდა ამისა, ახალი კანონის გამოცემის საჭიროებას იწვევენ ის ცვლილებანიც, რომლებიც მოხდა ამ უკანასკნელ დროს ჩვენი ხალხისა და სახელმწიფოს განვითარებაში.

კანონი „სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ“ მიღებული იყო ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ 1930 წლის 13 აგვისტოს, ე. ი. სწორედ 9 წლის წინათ.

ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ხალხმა, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია ხელმძღვანელობს, უდიდესი წარმატებანი მოიპოვა მშრომელთა სახელმწიფოს ორგანიზაციისა და განმტკიცებისა და საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

ჩვენს ქვეყანაში ახლა საბოლოოდ ლიკვიდირებულია ექსპლოატატორული კლასები და განუყრელად დარაზმულია მუშები, კოლმეურნეები და საბჭოთა ინტელიგენცია ერთიან, საერთო შრომითს ფრონტად.

ჩვენი ქვეყანა სოციალიზმის მშენებელი ქვეყნიდან გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნად გადაიქცა. სოციალიზმის გამარჯვებებმა შესაძლებელი გახადეს საბჭოთა მოქალაქეების სრული თანასწორუფლებიანობა, რაც განმტკიცებულია სტალინური კონსტიტუციით. ყოველივე ამან და მრავალმა სხვამ მკვეთრად შესცვალა სოციალურ - პოლიტიკური საფუძველი, რომელზედაც 9 წლის წინათ აგებული იყო ამჟამად მომქმედი **„კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ“**.

რადიკალური ცვლილებანი მოხდა ამ ხნის განმავლობაში ჩვენი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალთა თვით მშენებლობაში, ორგანიზაციასა და დაკომპლექტებაშიც. საკმარისია აღინიშნოს, რომ არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშვიდობიანობის დროს რიცხვობრივობა ამ უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში სამნახევარჯერ და კიდევ მეტად გაიზარდა.

გზადაგზა მართებულად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ წითელი არმიისა და სამხედრო - საზღვაო ფლოტის რიცხვობრივი ზრდა სავსებით შეესაბამება იმ საერთაშორისო ვითარებას, რომელსაც ჩვენი მთავრობა, პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ამხანაგი სტალინი მუდამ ყურადღებით და დაკვირვებით სწავლობენ, ითვალისწინებენ რა ყოველივე მის თავისებურებებსა და ზიგზაგებს. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ჩვენი სახელმწიფო, ამხანაგებო განსაკუთრებული ტიპისაა და იგი ერთადერთია მთელს ქვეყანაზე. იგი გარშემორტყმულია ჩვენდამი მტრულად განწყობილი კაპიტალისტური მსოფლიოს სახელმწიფოებით. ამიტომ სოციალიზმის ქვეყნის თავდაცვამ მხოლოდ თავისი საკუთარი ძალებისა და რესურსების იმედი უნდა იქონიოს. თავისთავად ცხადია, ჩვენი პარტიის გენიის და ჩვენი ქვეყნის მესაჭეს—ჩვენი სტალინის — შორსმჭვრეტელობა ფრიად მნიშვნელოვან სიდიდეს წარმოადგენს ჩვენი სამშობლოს დაცვის ღონისძიებათა ჯამში. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში ყველანი ფეხზე დგებიან).**

არმიისა და ფლოტის რიცხვობრივ ზრდასთან ერთად, იზრდებოდა ავრეთვე და ვითარდებოდა სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება, რომლებითაც აღჭურვილია ჩვენი შეიარაღებული ძალები. ეს თქვენ, ამხანაგო დეპუტატებო, ყველამ კარგად იცით, და მე ნებას მივცემ ჩემს თავს მხოლოდ რამდენიმე ციფრული ცნობით მოგაგონოთ იგი.

ვადარებთ რა წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო ტექნიკის პროგრესს ამ ცხრა წლის განმავლობაში, ვიღებთ შემდეგ სურათს: თუ 1930 წელს 100 პროცენტად ავიღებთ, მივიღებთ:

ტანკები 1930 წ.—100 პროცენტი, ამჟამად მეუხერხულება კიდეც ციფრის დასახელება, ამიტომ პროცენტებს კი არ დავასახელებ, არამედ ვიტყვი. თუ რამდენჯერ მოხდა გადიდება —ტანკები 43-ჯერ მეტი გვაქვს. **(მქუხარე ხანგრძლივი ტაში. შეძახილი დარბაზიდან: „გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას! ვაშა, ამხანაგებო!“. მქუხარე ტაში).**

თვითმფრინავები 1930 წ.—100 პროცენტი, ახლა 656 პროცენტია, ე. ი. ზრდა 6,5-ჯერ.

მძიმე, საშუალო და მსუბუქ არტილერიაში 1930 წელს—100 პროცენტი, ახლა კი არის 692 პროცენტი, ანუ თითქმის 7-ჯერ მეტი.

წვრილი ყალიბის ტანკსწინააღმდეგო და სატანკო არტილერია, 1930 წლის 100 პროცენტის ნაცვლად, ამჟამად ჩვენ გვაქვს 70-ჯერ მეტი **(ტაში).**

ხელისა და დაზგიანი ტყვიამფრქვევები, 1930 წლის 100 პროცენტის ნაცვლად, ამჟამად გვაქვს 539 პროცენტი, ანუ თითქმის 5,5-ჯერ მეტი.

1930 წელს ერთ მებრძოლზე მექანიკური ცხენის ძალა იმავე რიცხვობრივობისას ჩვენ გვქონდა 3,07. ამჟამად, როდესაც, როგორც მე უკვე ვთქვი, რიცხვობრივობა 3,5-ჯერ და კიდევ მეტად გაიზარდა, ჩვენ ერთ მებრძოლზე გვაქვს სრული 13 ცხენის ძალა. **(ტაში).**

სამხედრო-საზღვაო ფლოტის ტონაჟი 1930 წლის, 100 პროცენტიდან დღეისათვის 130 პროცენტით გაიზარდა, ესე იგი ახლა ჩვენ გვაქვს 230 პროცენტი.

წითელი არმიისა და ფლოტის რიცხვობრივობის, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ზრდამ რადიკალურად შესცვალა ჩვენი თავდაცვის შინაგანი სტრუქტურა და ორგანიზაციული წყობა. ამის შესაბამისად, დიდი ცვლილებები მოხდა ჯარის სხვადასხვა გვარეობისა და ცალკეულ სამხედრო სპეციალობათა თანაფარდობაში. დიდი რაოდენობით წარმოიშვნენ ახალი სამხედრო ორგანიზმები და ჯარის შენაერთები, მაშასადამე, ახალი სპეციალისტებიც. არმიასა და ფლოტში ძალიან გაიზარდა რიცხვობრივად, პოლიტიკურად და თავისი სპეციალური კვალიფიკაციით უფროსთა შემადგენლობა, ჩვენი თავდაცვის ეს მუდმივი და უძვირფასესი კაპიტალი. ამავე დროს გართულდა რიგითი და, განსაკუთრებით, უფროსთა შემადგენლობის სამსახურის პირობები.

ჩვენი არმია და ფლოტი, რომლებიც შეიარაღებულია ურთულესი საბრძოლო ტექნიკითა და ყოველგვარი ძანქანებით და მექანიზმებით, მოითხოვს ახლა, უფრო მეტად ვიდრე წინათ იყო, რიგითი და უფროსთა შემადგენლობის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა უდიდეს რაოდენობას. განსაკუთრებით უფროსთა შემადგენლობას.

მომქმედ კანონს **„სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ“**, რასაკვირველია, არ შეეძლო გაეთვალისწინებინა ყველა ჩამოთვლილი პირობა, ისე, როგორც სხვა მრავალი პირობა, სწორედ ამიტომ უნდა შეიცვალოს იგი ახალი კანონით. მაგრამ, მე ვფიქრობ, ჩვენს როდი დავიწყებთ იმის გამო, რომ საბჭოთა ცხოვრებამ, ჩვენი სახელმწიფოს და მისი შეიარაღებული ძალების სწრაფმა განვითარებამ გაუსწრეს მომქმედ კანონს, მით უმეტეს, რომ წითელმა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა სავსებით ასახეს ჩვენი სამშობლოს დიდი მიღწევები. ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვითს ღონისძიებებში, სოციალიზმის შეიარაღებულ ძალთა მშენებლობაში, როგორც სარკეში, ისეა ასახული მძლავრი საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი წინსვლა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის ბრძნული წინამძღოლობით. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. შეძახილები: „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს, ვაშა!“).**

ამ ცხრა წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს მიღებულ იქნა მრავალი ცალკეული კანონი და დადგენილება, რომლებიც თავდაცვას შეეხება და რომლებიც საჭიროა უფრო მჭიდროდ დავუკავშიროთ ძირითად სამხედრო კანონს.

ასე, **მაგალითად:**

ამ ხნის განმავლობაში არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სანაპირო და საშინაო ჯარის უფროსთა მთელი შემადგენლობისათვის შემოღებულია სამხედრო სახელწოდებანი. ამ ღონისძიებამ ძლიერ შეუწყო ხელი არმიის უფშემადგენლობის კადრების განმტკიცებასა და ორგანიზაციას, მან გამოარკვია ჩვენი მეთაურთა შემადგენლობის სახე, ხელი შეუწყო უფროსთა შემადგენლობის მიერ სამსახურის გავლისა და სამსახურში დაწინაურების საქმის გაუმჯობესებას.

სამხედრო საქმეში გაწრთვნილი კონტინგენტების საერთო რიცხვის გადიდების მიზნით, 1936 წელს ცაკის გადაწყვეტილებით ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის ასაკი შემცირებულ იქნა ორი წლით, ე. ი. 21-დან 19 წლამდე.

სავსებით იქნა ლიკვიდირებული წითელი არმიის მშენებლობის ეგრეთწოდებული ტერიტორიული სისტემა, დაკომპლექტება და რიგითი და უფროსთა შემადგენლობის მიერ სამხედრო სწავლების გაელა ამ საფუძველზე. ახლა მთელი ჩვენი არმია შენდება, სწავლობს და იზრდება საკადრო საფუძველზე.

ერთი წლის წინათ მოხდა სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების რადიკალური რეორგანიზაცია, იმ ორგანოებისა, რომლებიც მანამდე ორგანიზაციულად მჭიდროდ იყვნენ გადახლართულნი. არმიის ტერიტორიულ სისტემასთან.

ამჟამად ავტონომიურ რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში, ავტონომიურ ოლქებსა და ქალაქებში შექმნილია დამოუკიდებელი სამხედრო კომისარიატები.

რაიონული სამხედრო კომისარიატების ქსელი სამჯერ და კიდევ უფრო მეტად გაფართოვდა, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვის სისტემა, ავრეთვე მორიგი გაწვევის სისტემა, და რაც მთლიანად უზრუნველჰყოფს გაწვევას მობილიზაციის წესით.

მიღებულია სამხედროკალდებულთა აღრიცხვის ახალი სისტემა.

აღრიცხვის ახალი წესი დაკავშირებულია ქალაქებში—საპასპორტო სისტემასთან, სასოფლო ადგილებში—საკომლო წიგნებთან.

მთელი ძირეული სამხედრო აღრიცხვა დაკისრებული აქვთ: ქალაქებში—მუშურ-გლეხური მილიციის განყოფილებებს, სასოფლო ადგილებში—სასოფლო და სადაბო საბჭოებს.

სტუდენტთა ეგრეთწოდებული, უმაღლესი ჯარგარეშე მომზადება, რომელიც წინათ არსებობდა და რომლის შეშვეობითაც ჩვენ თანდათანობით, ამ ბოლო ორ-სამ წლის განმავლობაში, ოცდ ათ ასამდე ასაკის ახალგაზრდა ადამიანებს, რომლებიც საშუალო სკოლაში სწავლობდნენ, შეეძლოთ იქ დაეყოთ 25 წლის ასაკამდე, ხოლო სტუდენტებს—28 წლის ასაკამდე. და მხოლოდ აღნიშნული ასაკის მიღწევის შემდეგ, ე. ი. როგორც წესი, უკვე საკუთარი ოჯახითა და წლებით დატვირთულნი, მიდიოდნენ სტუდენტები ან უმაღლეს სასწავლებელდამთავრებული მოქალაქენი გასაწვევ უბანში. კანონის მიხედვით, ყველა ეს პირი არმიაში ერთ წელიწადს მსახურობდა და ერთწლიანად იწოდებოდა. ბევრი ჰყავდა თუ არა არმიას ასეთი კონტინგენტი თავის რიგებში? არა, ძალიან ცოტა ჰყავდა, უმაღლეს სასწავლებელდამთავრებულნი მეტწილად ეწყობოდნენ სხვადასხვა დიდმნიშვნელოვან და არა დიდმნიშვნელოვან დაწესებულებებში, სადაც ხშირად აღწევდნენ ვადის კვლავ გაგრძელებას, თვით 30 წლის ასაკამდე, როდესაც საერთოდ თავისუფლდებოდნენ გაწვევისაგან. ის გამოდიოდა, რომ სახელმწიფო ამ მოქალაქეთა სწავლაზე სახსრებს ხარჯავდა, ისინი კი თავიანთ მოქალაქეობრივ მოვალეობასაც კი არ ასრულებდნენ მის წინაშე, არ მოდიოდნენ წითელ არმიაში.

ამავე დროს, ჩვენი არმიისა და მისი ტექნიკის განვითარებისადაკვალად, ინტელიგენტი ადამიანები არმიას უდიდესი რაოდენობით სჭირდება. კანონპროექტი, ითვალისწინებს რა წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ინტერესებს, სპობს ამ, დღემდე არსებულ, უსამართლობას სხვა ახალგაზრდების მიმართ და აკმაყოფილებს თავდაცვითს მოთხოვნილებას.

ახალწვეულთა შეღავათზე ოჯახური მდგომარეობის გამო. მომქმედი კანონის მიხედვით, ახალწვეულს, რომელიც თავისი შრომით ინახავს ოჯახის ერთ ან რამდენიმე შრომისუნარმოკლებულ წევრს, შეეძლება მიეცეს შეღავათი ოჯახური მდგომარეობის გამო. ასეთი ახალწვეული არ მიიღება კადრების შემადგენლობაში, არამედ ჩაირიცხება ჯარგარეშედ, ე. ი. ფაქტიურად თავისუფლდება ნამდვილი სამხედრო სამსახურისაგან და სათადარიგოთა აღრიცხვაზე იმყოფება.

მომქმედ კანონში ოჯახად, როგორც სიტყვა-სიტყვით ნათქვამია იგულისხმება: „სხვადასხვა ხარისხის ნათესაობის პირთა ნათესაობრივ—შრომითი გაერთიანება, რომელნიც ერთად ცხოვრობენ და ერთ მეურნეობას ეწევიან, ან საერთო სახსრებით ცხოვრობენ“.

„ოჯახის“ ასეთი, უკიდურესად ბუნდოვანი, განსაზღვრა გულისხმობს ახალწვეულის არა მარტო მშობლებს, ცოლსა და შვილებს, არამედ მის ძმებსაც, დებსაც, პაპასაც, დიდედასაც ავრეთვე ახალწვეულის ცოლის მშობლებს, ძმებს, დებს, პაპას და დიდედას და ახალწვეულის და მისი ცოლის ყველა სხვა ნათესავს, რომელიც ამ ორივე ყველ თაობამდე **(სიცილი)**, თუ ისინი ერთად ცხოვრობდნენ და ახალწვეულის დახმარებით სარგებლობდნენ. ოჯახის ასეთი გაგება, ოჯახური მდგომარეობის გამო შეღავათის უფლების გამოსარკვევად, ალბა სიცილის მეტს სხვას ვერაფერს გამოიწვევს.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ 1936 წლამდე არმიაში იწვევდნენ ახალგაზრდებს 21-დან 23 წლის ასაკამდე, ბევრ ახალწვეულს ჰყავდა ორ-ორი შვილი, ხოლო ზოგიერთი სამ-სამი შვილის ყოლასაც კი ახერხებდა **(სიცილი)**, გარდა მათ რჩენაზე მყოფი სხვა ნათესავებისა. ასეთ პირობებში შეღავათები ისეთი პირებისათვის, რომლებიც ოჯახში ერთადერთ ძმოუშავეს წარმოადგენდნენ, მართლდებოდა განსაკუთრებული პირობებით.

კანონპროექტის მიხედვით გასაწვევი ასაკი, როგორც უკვე ნათქვამი იყო, მცირდება 18-19 წლამდე. ახალწვეულთა უდიდეს მასას, მე კი მინდა იმედი ვიქონიო, რომ ყველა 100 პროცენტს, ახლა არ ეყოლება საკუთარი ოჯახი. **(სიცილი).** ეს არის პირველი და მნიშვნელოვანი გარემოება, ხოლო კიდევ უფრო სერიოზული გარემოება მდგომარეობს იმაში, რომ მას შემდეგ, რაც საკოლმეურნეო წყობილებამ გაიმარჯვა და ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს უმუშევრობა, მკვეთრად შეიცვალა მშრომელთა კეთილდღეობა, ხოლო თვით ოჯახიც ახლა არა ჰგავს იმას, რაც იგი წინათ იყო, და ყოველ შემთხვევაში არა ჰგავს იმ სასაცილო განსაზღვრას, რომელსაც სამწუხაროდ, ადგილი ჰქონდა ჩვენს კანონში.

ამიტომ კანონი ითვალისწინებს, რომ ოჯახური მდგომარეობის გამო შეღავათები მიენიჭებათ ახალწვეულს, ოჯახში ერთადერთ მეშაბაკებს, რომლებიც თავიანთი შრომით ინახავენ ოჯახის შრომისუნარმოკლებულ ორ წევრს. ოჯახის შრომისუნარმოკლებულ წევრებად ითვლებიან: მამა — 60 წლის ასაკს გადაცილებული და დედა — 55 წლის ასაკს გადაცილებული, ან დედა და მამა — პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდები, ასაკისაგან დამოუკიდებლად.

ოჯახური მდგომარეობის გამო შეღავათი იმაში მდგომარეობს, რომ ახალწვეული განთავისუფლდება ნამდვილი სამხედრო სამსახურისაგან მშვიდობიანობის დროს, მეორე კატეგორიის თადარიგში ჩარიცხვით.

ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების შესახებ

არსებული კანონით, საშუალო სკოლების მოსწავლეებს უგრძელდებათ ვადა სკოლის დასამთავრებლად 25 წლის, ხოლო სტუდენტებს —28 წლის ასაკამდე. საშუალო სკოლას ახალგაზრდები ჩვეულებრივ ამთავრებენ თვრამეტი წლის ასაკში. ახალი კანონით სწორედ ეს ასაკია დაწესებული საშუალო სკოლადამთავრებულ პირთა გასაწვევად სამხედრო სამსახურში. ამგვარად, საშუალო სკოლადამთავრებულნი იმავე წელს უნდა შეევიდნენ სამხედრო სამსახურში, ვინაიდან მათ არავითარი ვადა არ გაუგრძელდებათ უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად. ვადა გაგრძელებული იქნება მხოლოდ თვით საშუალო სკოლის დასამთავრებლად, თუ ავადმყოფობის ან სხვა საპატიო მიზეზების გამო ახალწვეული ვერ მოასწრებს საშუალო სკოლის დამთავრებას 18 წლის ასაკამდე, ასეთ შემთხვევაში მას ვადა გაუგრძელდება სკოლის დასამთავრებლად, მაგრამ მხოლოდ 20 წლის ასაკამდე.

რადგან საშუალო სკოლადამთავრებულებმა ახალი კანონის მიხედვით ჯერ უნდა მოიხადონ ნამდვილი სამხედრო სამსახური და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლა, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის ვადის გაგრძელების საკითხი თავისთავად იხსნება. უმაღლეს სასწავლებლებში ამჟამად მოსწავლე სტუდენტებისათვის ვადის გაგრძელება წინანდელ საფუძველზე რჩება.

უშუალოდ საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ არმიაში 18 წლის ასაკის ახალგაზრდების გაწვევა არმიასა და ფლოტს საბჭოთა ინტელიგენციის დიდ შევსებას შეჰმატებს.

1939 წელს ჩვენ გავიწვევთ დაახლოებით 145 ათას კაცს, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა. მათ რიცხვში შედიან ისინიც, ვისაც სხვადასხვა დროს გაუგრძელდა ვადა. ეს მნიშვნელოვანი რაზმია, რომლითაც დაკომპლექტდება არა მარტო საპოლკო სკოლები, არამედ სპეციალური ნაწილებიც. ამავე კონტინგენტიდან მომზადდება სათადარიგო უფროსთა საშუალო შემადგენლობა ომის დროისათვის (უმცროსი ლეიტენანტები, ლეიტენანტები, სამხედრო ტექნიკოსები და სხვ.).

ნამდვილ სამხედრო სამსახურში საშუალო სკოლადამთავრებულთა გაწვევის წესი, რაც ახალ კანონს შემოაქვს,—წარმოადგენს ღონისძიებას, რომელსაც სხვა არაფერი არ შეიძლება ეწოდოს, თუ არა სამართლიანობის აღდგენის ღონისძიება. მართლაც, რა იყო დღემდე? ლობრივი სამხედრო კომისრის თავმჯდომარეობით, სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენელთა, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, შინსახკომის, მილიციის წარმომადგენელთა და ორი ექიმის შემადგენლობით.

სამხედრო სამსახურში გაწვევის ჩატარება ეკისრებათ ადგილობრივ სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთ, ამიტომ პროფკავშირთა, სახალხო განათლების განყოფილებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლების შეყვანა გამწვევი კომისიების შემადგენლობაში, ჩემის აზრით, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს.

გამწვევი კომისიების მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ექიმებს. არმიისა და ფლოტის დაკომპლექტება ჯანსაღი კონტინგენტით საგრძნობლად არის დამოკიდებული გაწვევის დროს ექიმების მუშაობაზე. მეორე მხრივ, გაწვევისაგან განთავისუფლებას ავადმყოფობის გამო, საკმაო საფუძვლების უქონლად, აგრეთვე შეუძლია ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს თავდაცვას. ამიტომ საჭიროდ არის ცნობილი შეტანილ იქნას კანონში მე-23 მუხლის სპეციალური შენიშვნა, რომელიც ამბობს:

„...ნამდვილ სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური განვითარების გამორკვევის დროს საქმისადმი არაკეთილსინდისიერი ან მიკერძოებული დამოკიდებულების დაშვებისათვის კომისიის წევრი ექიმები, აგრეთვე გასაწვევთა სამედიცინო შემოწმებისათვის მოწვეული ექიმები, მიცემულ იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში“.

რიგითი შემადგენლობისა და უმცროსი უფშემადგენლობის თადარიგის შესახებ

სამხედრო საქმეში გაწრთვნილი თადარიგის საერთო კონტინგენტის შემდგომი გადიდებისათვის, სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ვადა დიდდება 10 წლით — 40 წლიდან მომქმედი კანონის მიხედვით 50 წლამდე, რაც პროექტით არის გათვალისწინებული (მუხ. 32).

თადარიგის ათი უფროსი ასაკი (40-50 წელი) გამოყენებული იქნება ომიანობის დროს, უმთავრესად, ზურგის სამსახურისათვის.

მომქმედი კანონისაგან განსხვავებით, რომლის თანახმადაც თადარიგში ჩარიცხება ყველა, ვისაც კი ნამდვილი სამხედრო სამსახური მოუხდია, და ეგრეედწოდებული ჯარგარეშეები, რომლებსაც ნამდვილი სამსახური არ გაუვლიათ, — კანონპროექტი **თადარიგს ორ კატეგორიად ჰყოფს** (მუხ. 31).

პირველი კატეგორიის თადარიგში ჩარიცხება ყველა სამხედრო მოსამსახურე, რომლებსაც ნამდვილი სამსახური მოუხდიათ არმიაში, ესე-იგი სავსებით გაწრთვნილი ადამიანები, ხოლო მეორე კატეგორიის თადარიგში — ყველა ის პირი, რომლებსაც არმიაში არ უმსახურიათ, ე. ი. გასაწვევი კონტინგენტის ნაჭარბი, თუ ასეთი იქნება, შეღავათის მქონენი და ახალწვეულნი, რომელნიც ცხობილი იქნებიან ომიანობის დროს არასამყოფბრო სამსახურში გამოსადეგად.

მეორე კატეგორიის თადარიგში ჩარიცხებიან აგრეთვე ქალები, რომლებსაც აქვთ სამედიცინო, ვეტერინარული ან ტექნიკური მომზადება და ომლებიც სამხედრო აღრიცხვაზე ჰყავთ აყვანილი თავდაცვისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატებს.

ომიანობის დროს კანონპროექტი ითვალისწინებს, საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ სპეციალობათა ქალების გაწვევას არმიასა და ფლოტში.

ამ მხრივ კანონპროექტი მომქმედი კანონისაგან იმით განსხვავდება, რომ ითვალისწინებს სპეციალისტ ქალთა არა მარტო მოვალეობას — იმსახურონ არმიაში ომიანობის დროს, არამედ იმასაც, რომ გაიარონ დაწესებული სასწავლო შეკრებანი (სამხედრო ჰოსპიტლებთან, ინსტიტუტებთან, ლაბორატორიებთან, სახელოსნოებთან და სხვ.) საჭიროებისა და აღნიშნული სახალხო კომისარიატების მიერ წინასწარ დასახული გეგმების მიხედვით.

სამხედრო საქმეში გაწრთვნილი კოტინგენტების განცალკევება გაუწრთვნელი კონტინგენტებისაგან, ე. ი. თადარიგის გაყოფა ორ კატეგორიად, უზრუნველჰყოფს სამხედრო-ვალდებულთა ამ ორი არათანაბარფასოვანი ჯგუფის უფრო სწორად აღრიცხვას და სათანადო სამხედრო მომზადებას/მშვიდობიანობის დროს, ხოლო მობილიზაციის დროს გააადვილებს არმიისა და ფლოტის სწორად დაკომპლექტებას.

კანონპროექტი ითვალისწინებს სამხედრო-ვალდებულთათვის სასწავლო შეკრებათა ვადის მნიშვნელოვან გადიდებას.

უფროსთა შემადგენლობისათვის შეკრებათა საერთო ვადები დიდდება ერთისამად, უმცროს მეთაურთათვის — თითქმის ერთიანუთად, მეორიგეთათვის — სამნახევარჯერ და მეორე კატეგორიის სათადარიგოთათვის — ორნახევარჯერ.

მაგრამ თუ ერთმანეთს შევადარებთ თადარიგში ყოფნის საერთო ვადას და ამავე ხნის განმავლობაში შეკრებათა საერთო ვადას, მივიღებთ შემდეგს, სრულიად არასაშინელ სურათს.

	თადარიგში ყოფნის საერთო ვადა		შეკრებათა საერთო ვადა
მერიგენი	29 წელიწადი (21 წლიდან 50 წლამდე)		წელიწადნახევარი
უმცროსი მეთაურები . . .	28 წელიწადი (22 წლიდან 50 წლამდე)		2 წელიწადი
მე-2 კატეგორიის სათადარიგონი	31 წელიწადი (19 წლიდან 50 წლამდე)		2 წელიწადი
უფშემადგენლობა, უმცროსი ლეიტენანტები, ლეიტენანტები, უფროსი ლეიტენანტები	25 წელიწადი	უფშემადგენლობისათვის საშუალო 20 წელი	3 წელიწადი
კაპიტნები და მაიორები . .	20 წელიწადი		„
პოდპოლკოვნიკები და პოლკოვნიკები	15 წელიწადი		„
ბრიგადის მეთაურები და ზევით	10—5 წელიწადი		„

სხვადასხვა კატეგორიისათვის სამსახურის არათანაბარი გავლა იმით აიხსნება, რომ ისინი სხვადასხვა დროს თავისუფლდებიან სამსახურიდან, და ემათ, ვინც უფრო ადრე თავისუფლდება, უნდა გაიარონ სამი წელი, რადგან ისინი, ნამდვილად რომ ითქვას, იმ დონეს შერჩნენ, რომელზედაც იმყოფებოდნენ არმიაში, და სხვებმა, წინაურდებიან რა სამსახურში, უნდა გაიარონ იგივე სამი წელი, რადგან მათი მოვალეობა არმიაში მნიშვნელოვნად უფრო პასუხსაგებია და უფრო რთულია.

კანონპროექტში აღნიშნულია შეკრების მხოლოდ საზღვრითი ხანგრძლივობა, ხოლო მის ფაქტიურ ხანგრძლივობას ყოველწლივ დააწესებს სსრ კავშირის სახკომსაბჭო, რეალური მოთხოვნილების მიხედვით.

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე, რიგგარეშე სესია

საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის პროექტის შესახებ

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისრის საბჭოთა კავშირის მარშალის ამხ. კ. ე. ვოროშილოვის მოხსენება

დასასრული

გადამზადებისათვის შეკრებათა საერთო ვადის გადიდება, სამხედრო-ვალდებულთა სამხედრო კვალიფიკაციის გარკვეულ დონეზე შენარჩუნების მიზნით, მეტისმეტად საჭირო ღონისძიებას წარმოადგენს. მე უკვე ვილაპარაკე, რომ თანამედროვე არმია მთელი სამხედრო პერსონალის, მათ შორის აგრეთვე რიგითი პერსონალის, დიდ კვალიფიკაციას მოითხოვს. ამავე დროს კი, რაც უნდა კარგად იყოს მომზადებული მებრძოლი ან მეთაური, დროთა განმავლობაში მისი კვალიფიკაცია ცვლებულობს. ამიტომ, რათა უზრუნველყოფილ იქნას ომის შემთხვევისათვის არმიის სრულძალოვანი და კვალიფიციური გაშლა, საჭიროა პირველი და მეორე კატეგორიის სათადარიგოთა მთელი შემადგენლობის პერიოდულად და საფუძვლიანად გაწვრთვნა.

მეფის არმიის გამოცდილებამ მსოფლიო ომში, სადაც ეგრეთწოდებული ლაშქარი მეტად სუსტად იყო გაწვრთვნილი ან სულაც არ იყო გაწვრთვნილი, გვიჩვენა, რომ ომის დროს წარმოებული დაჩქარებული მომზადება ნაკლებად ეფექტიური იყო, — ფრონტზე სრულიად მოუმზადებელი ადამიანები იგზავნებოდნენ, ხოლო რით თავდებოდა ეს, თქვენ ყველამ ჩინებულად იცით.

უფროსთა შემადგენლობის შესახებ. სამსახურში კადრის უფროსთა შემადგენლობის უფრო სწორი და თავის დროზე წინწაწევის მიზნით, აგრეთვე ომის დროისათვის სათადარიგოთა დაგროვების გასადიდებლად, მისი ნამდვილი სამსახურის ვადები თვალსაჩინოდ მცირდება. მომქმედი კანონის მიხედვით ლეიტენანტებისა და მათი თანაბრებისათვის ნამდვილი სამსახურის ვადა დაწესებულია 40 წლამდე, კანონპროექტი ითვალისწინებს — 30 წლამდე; უფროსი ლეიტენანტებისა და მათი თანაბრებისათვის დაწესებულია 40 წელიწადი, ხოლო იქნება — 35 წელიწადი; მაიორებისა და მათი თანაბრებისათვის არის 45 წელიწადი, კანონპროექტით გათვალისწინებულია 40 წელიწადი.

უფროსთა მთელი დანარჩენი შემადგენლობისათვის, პოლკოვნიკით დაწყებული და უფრო ზევით, არსებული კანონით დაწესებულია 60 წელიწადი, ხოლო კანონპროექტით გათვალისწინებულია: პოლკოვნიკებისათვის — 45 წელიწადი, ბრიგადის მეთაურებისათვის — 55 წელიწადი, დივიზიის მეთაურებისათვის და უფრო ზევით — 60 წელიწადი.

კანონპროექტი აწესებს ახალ სამხედრო სახელწოდებებს, რომლებიც ჩვენს სიაში რანგების შესახებ არ ყოფილა, — პოდპოლკოვნიკსა და ბატალიონის უფროს კომისარს. ეს ღონისძიება გამოწვეულია სამსახურებრივი ხასიათის მთელი რიგი მოსაზრებებით.

შეკრებათა დროს ხელფასის შენარჩუნებისა და დღიურების შესახებ

მომქმედი კანონით (მუხლები 45 და 46 კოდექსისა სამხედრო მოსამსახურეთათვის შეღავათების შესახებ) სასწავლო შეკრებათა დროს მუშა და მოსამსახურე სათადარიგოებს ენახებათ სრული საშუალო ხელფასი მუშაობის ადგილის მიხედვით, ხოლო ჯარგარეშეებს (რომლებსაც ნამდვილი სამხედრო სამსახური არ მოუხდიათ) — საშუალო ხელფასის $^2/_3$.

კანონპროექტით (მუხლი 48) როგორც რიგითი შემადგენლობის ყველა სამხედრო-ვალდებულ მუშასა და მოსამსახურეს, ისე სათადარიგოთა შემადგენლობის მეთაურებს ენახებათ ნახევარი საშუალო ხელფასი მუშაობის ადგილის მიხედვით. გარდა ამისა, კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ თადარიგში მყოფი ყველა მეთაური შეკრებათა დროისა და იმ ხნის განმავლობაში, როცა ისინი, შეკრებაზე წამოსულნი და უკან მიმავალნი, გზაში არიან, მიიღებენ 5-დან 15 მანეთამდე დღეში, სამხედრო წოდების მიხედვით.

მომქმედი კანონით, რიგითი შემადგენლობის კოლმეურნე სათადარიგონი, უმცროსი მეთაურები და ჯარგარეშენი შეკრებათა დროს არაფერს არ იღებენ. მხოლოდ კოლმეურნე სათადარიგო მეთაურები, ე. ი. კოლმეურნეთა უმნიშვნელო ნაწილი, შეკრებაზე გაწვეული, იღებს დღიურს თავდაცვისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატებისაგან. ასეთი წესი სამხედრო-ვალდებულ კოლმეურნეებს უარეს მდგომარეობაში აყენებს მუშებთან და მოსამსახურეებთან შედარებით.

ამიტომ კანონპროექტი ითვალისწინებს ისეთ წესს, როცა ყველა კოლმეურნეს—მერიგესაც და თადარიგში მყოფ მეთაურსაც, სასწავლო შეკრებაზე გაწვეულს, კოლმეურნეობამ უნდა დაურიცხოს შრომადღეებს იმ საშუალო რაოდენობის ნახევარი, რომელიც შეკრების დროს დაერიცხება გაწვეულთა თანაბარი სპეციალობისა და კვალიფიკაციის სხვა კოლმეურნეებს.

სასწავლო შეკრებებზე დროებით გაწვეულ სამხედრო - ვალდებულ კოლმეურნეთა მატერიალური უზრუნველყოფის საქმეში კოლმეურნეობათა ჩაბმა დროული და სამართლიანი ღონისძიებაა. ახლაც კარგ კოლმეურნეობათა დიდი რაოდენობა კოლმეურნეობის სამხედრო-ვალდებულ წევრებს დაურიცხავს ხოლმე შრომადღეებს სასწავლო შეკრებაზე მათი ყოფნის დროს. ამრიგად, კანონპროექტი მხოლოდ აყენებს წინადადებას გაფორმებულ იქნას ის, რასაც ბევრი კოლმეურნეობა უკვე აკეთებს.

სამხედრო აღრიცხვის შესახებ. კანონპროექტის მე-6 თავი, სამხედრო აღრიცხვისადმი მიძღვნილი, საკანონმდებლო წესით განამტკიცებს აღრიცხვის ახალ სისტემას, რომელზედაც ჩვენ ამა წლიდან უკვე გადავედით

საწარმოების მიხედვით აღრიცხვის წინანდელმა სისტემამ თავისთავი ვერ გაამართლა. საწარმოთა სამხედრო-საალრიცხვო მაგიდები ცუდად მუშაობდნენ.

ხშირად ხდებოდა, რომ თადარიგში მყოფ ზოგიერთ სამხედრო-ვალდებულს რამდენიმე საწარმოში აღრიცხავდნენ (ეს ეხება უმთავრესად იმათ, ვისაც ჩვენ თავის დროზე ფრენიებს ვუწოდებდით), სხვებს კი სულაც არ აღრიცხავდნენ ხოლმე, რის გამო საალრიცხვო ცნობები ირეულ-დარეული იყო.

საცხოვრებელი ადგილის ნიშნის მიხედვით—მილიციის განყოფილებებსა და სასოფლო საბჭოებში — სამხედრო-ვალდებულთა აღრიცხვის ახალმა სისტემამ, თავისი არსებობის მოკლე ხნის განმავლობაში, უკვე დადებითი შედეგები მოგვცა. აღრიცხვის ახალი სისტემის დროს, როდესაც სამხედრო აღრიცხვაზე აყვანა და **აღრიცხვიდან** მოხსნა **ხდება საბინაო** წიგნში ჩაწერასთან და წიგნიდან ამოწერასთან ერთად, სათადარიგო სამხედრო - ვალდებულს ფაქტიურად არ შეუძლია დაივიწყოს თავისი მოვალეობა — გატარდეს აღრიცხვაში. ამასთან ერთად აღრიცხვის ახალი სისტემა გაცილებით უფრო მარჯვეა სამხედრო-ვალდებულისათვის. სამხედრო-ვალდებული სხვა ქალაქში ან იმავე ქალაქის მილიციის მეორე განყოფილების რაიონში მისვლისას არ არის ვალდებული პირადად გამოცხადდეს მილიციაში სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვანად. ამისათვის საკმარისია ჩაბარდეს სახლის მმართველს პასპორტთან ერთად თავისი სამხედრო ბილეთი.

თუ თვითეული სამხედრო-ვალდებული ზუსტად დაიცავს იმ წესებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონპროექტში 63, 64, 65 და 66 მუხლებით, ხოლო სახლთმმართველები, მილიცია და სასოფლო საბჭოები მტკიცედ ადევნებენ ამას თვალყურს—ისინი კი ვალდებული არიან ეს გააკეთონ ამ საქმისათვის მთელი პასუხისმგებლობის შეგნებით, —მაშინ სამხედრო აღრიცხვა ჩვენში საუცხოოდ იქნება დაყენებული, და საალრიცხვო ცნობები, რომელთა სისწორესაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ომის დროს წარმატებითი მობილიზაციისა და შეიარაღებულ ძალთა ნორმალური დაკომპლექტებისათვის, — თადარიგის კონტიგენტების ნამდვილი მდგომარეობის გამომპატველი იქნება.

დაწყებითი და საწვევამდელო სამხედრო მომზადების შესახებ. მომქმედი კანონით საწვევამდელო მომზადება ვრცელდება ორ ასაკზე — 18-19 წლის ახალგაზრდებზე. ეს მომზადება ხორციელდება სასწავლო შეკრებებზე, ორი სასწავლო თვის საერთო ხანგრძლივობით.

კანონპროექტს პრაქტიკაში შემოაქვს ახალგაზრდობის სამხედრო მომზადების ახალი სახე—დაწყებითი სამხედრო მომზადება, რაც ჩატარდება ყველა საშუალო და არასრულ საშუალო სკოლაში, დაწყებული მე-5-დან მე-7 კლასამდე ჩათვლით. მოზარდთა ამ დაწყებითი მომზადების გარდა, ჩატარდება აგრეთვე საწვევამდელო მომზადებაც. ეს უკანასკნელი შეეხება საშუალო სკოლის სამი უფროსი კლასის (8, 9 და 10 კლასების) მოსწავლეებს.

არამოსწავლე ახალგაზრდობა საწვევამდელო მომზადებას როგორც სწავლების სავალდებულო სახეს, არ გაივლის, რადგან გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ასეთი მომზადება დიდ სახსრებს მოითხოვს და ცოტა სარგებლობა მოაქვს.

დაწყებითს სამხედრო მომზადებას სკოლების სასწავლო გეგმაში ნავარაუდევია მოხმარდეს ექვსდღიურში ორ-ორი საათი, ხოლო საწვევამდელო მომზადება სასწავლებლებში ჩატარდება სპეციალური პროგრამის მიხედვით.

როგორც დაწყებითს, ისე საწვევამდელო მომზადებას სასწავლებლებში ჩატარებენ შტატის სამხედრო ხელმძღვანელები, უმთავრესად სათადარიგო მეთაურთაგან.

სწორად დაყენებული დაწყებითი და საწვევამდელო მომზადება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის ისეთ როლს შეასრულებს, რომლის მნიშვნელობაც ფასდაუდებელია. ჩვენი მომავალი მებრძოლნი შესაძლებლობას მიიღებენ გაეცნონ ჩვენი წითელი არმიის საბრძოლო ტრადიციებს და სამხედრო დისციპლინის ძირითად საფუძვლებს. მოზარდნი და ჭაბუკნი შეისწავლიან სამხედრო საქმეს, სასროლო საქმეს, მათ ეცოდინებათ საჰაერო თავდაცვისა და ქიმიური თავდაცვის წესები და, რაც მთავარია, მიიღებენ კარგ ფიზიკურ წრთვნასა და წრთობას.

მოზარდი თაობა დაწყებითს სამხედრო მომზადებაში შეიძენს იმ მორალურ და ფიზიკურ თვისებებს, რომლებიც ესაჭიროება წითელი არმიის მებრძოლს მომავალ ბრძოლებში სოციალიზმისა და ჩვენი სამშობლოსათვის.

და, დასასრულ, მე უნდა აღვნიშნო, რომ საგალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ ამჟამად არსებული კანონი ამყარებს „რელიგიურ რწმენათა მიხედვით სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების“ სპეციალურ წესს.

როგორც ამ უკანასკნელი წლების გაწვევათა გამოცდილებამ დაგვანახვა, რელიგიურ რწმენათა მიხედვით სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებულთა რიცხვი იმდენად უმნიშვნელოა (სწორედ ერთეულებია მთელს საბჭოთა კავშირში), რომ ასეთი კარის შეტანა ახალ კანონში უკვე სრულიად არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს. 1937-1938 წლების გაწვევათა დროს რელიგიურ რწმენათა მიხედვით სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებაზე არცერთი განცხადება არ შემოსულა.

ამხანაგო დეპუტატებო!

დასასრულ მე მინდა ვთქვა, რომ **„საყოველთაო სამხედრო ვალდებულების“** ახალი კანონი, რომელსაც, იმედი მაქვს, მიიღებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, ის მტკიცე საფუძველი იქნება, რომელზედაც წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი კიდევ უფრო ფართოდ გაიშლებიან და კიდევ უფრო ძლიერნი, კიდევ უფრო მტკიცენი გახდებიან.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები მუდამ თავისი ხალხის სისხლსა და ხორცს წარმოადგენდნენ და მასთან ერთად მიდიოდნენ ისინი სიძნელეთა გადალახვის გზით, მიღწევათა და გამარჯვებათა გზით.

წითელ არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს, ისევე როგორც მთელს ჩვენს ქვეყანას, თავისი განვითარების ყველა ეტაპზე, როგორც მშენებლობის, ისე მტერთან შეიარაღებული ბრძოლის ყველა ამოცანის გადაჭრისას, ყოველთვის წინ მიუძღოდა ლენინ-სტალინის დიადი პარტია და ჩვენი ბრძენი ბელადი ამხანაგი სტალინი. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. ყველანი ფეხზე დგებიან. შეძახილები „ვაშა!“, „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“).**

და ახლა, როდესაც მთელი მსოფლიო წინასამხარი ციებ-ცხელების მდგომარეობაში იმყოფება, წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი, ამაყნი იმის შეგნებით, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებთან ერთად ყოველთვის და განუყრელად არიან მთელი ჩვენი შესანიშნავი ხალხი და მთავრობა, ლენინ-სტალინის პარტია და ჩვენი ბრძენი ბელადი სტალინი, დამშვიდებითა და გაძლიერებით მუშაობენ იმაზე, რომ ყოველ წუთს სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ. საბჭოთა კავშირს ვერ მოუსწრებენ მოუმზადებელს საერთაშორისო ამბები, რარიგ მოულოდნელი და მრისხანეც არ უნდა იყვნენ ისინი. ხოლო ის ციყბატონები, რომელთა დახშული გონებაც ხელს უშლის მათ დაინახონ საბჭოთა კავშირი ისეთად, როგორც იგი სინამდვილეშია, გაანუწყვეტლივ მიიღებენ საგნობრივ გაკვეთილებს მანამდე, სანამ ისინი არ შეიგნებენ, რომ საბჭოების დიად ხალხს ჰყავს და მუდამ ეყოლება თავისი დიადი და მტერთან ბრძოლაში თავზარდამცემი შეიარაღებული ძალა, რომელიც გაანადგურებს ყველას და ყოველთვის, ვინც კი გაბედავს ხელჰყოს ძლევამოსილი საბჭოთა კავშირის წმინდათა-წმინდა უფლებები, მიწა-წყალი და ღირსება.

გაუმარჯოს ჩვენს ხალხს და მის სახელოვან მთავრობას!

გაუმარჯოს ლენინ - სტალინის პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სტალინს!

(მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. შეძახილები: „ვაშა!“. ყველანი ფეხზე დგებიან და ტაშს უკრავენ. გაისმის შეძახილები —„გაუმარჯოს წითელ არმიას და მის ბელადს ამხანაგ ვოროშილოვს!“, „გაუმარჯოს სამხედრო-საზღვაო ფლოტს!“, „გაუმარჯოს დიდ სტალინს!“).

სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მე-4. რიგგარეშე სესია

1 სექტემბერს დილიდანვე მუშაობდნენ სასოფლო-სამეურნეო კანონის შესწორებათა განმხილველი და ამავე კანონის საბოლოო ტექსტის მომმზადებელი კომისიები და საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის შესწორებათა განმხილველი და ამავე კანონის საბოლოო ტექსტის მომმზადებელი კომისიები, რომლებიც არჩეულ იყო კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მიერ.

კომისიებში განხილულ იქნა შეტანილი შესწორებები და მომზადებულ იქნა სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე, რიგგარეშე სესიის დღის წესრიგის პირველი და მეორე პუნქტში მოხსენებული კანონპროექტთა საბოლოო ტექსტები.

საინფორმაციო ცნობა

კავშირის საბჭოს 1939 წლის 1 სექტემბრის სხდომის შესახებ

1 სექტემბერს, ნაშუადღევის 5 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს მეოთხე სხდომა.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ა. ა. ანდრეევი.**

კავშირის საბჭო ისმენს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის შესწორებათა განმხილველი და ამავე კანონის საბოლოო ტექსტის მომმზადებელი კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ **მ. დ. ბაგიროვის** მოხსენებას.

დეპუტატ ბაგიროვის მოხსენების დამთავრების შემდეგ კავშირის საბჭო გადადის „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის“ კენჭის ყრასა და დამტკიცებაზე.

კავშირის საბჭო ერთხმად ამტკიცებს „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონს“ ჯერ კარების მიხედვით, ხოლო შემდეგ მთლიანადაც.

საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის შესწორებათა განმხილველი და იმავე კანონის საბოლოო ტექსტის მომმზადებელი კომისიის მოხსენებით გამოვიდა კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი **დ. ს. კოროტჩენკო.**

კავშირის საბჭო ერთხმად ამტკიცებს „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონს“ ჯერ კარების მიხედვით, ხოლო შემდეგ მთლიანადაც.

თავმჯდომარე—კავშირის საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. ანდრეევი** აუწყებს სხდომას, რომ მეოთხე, რიგგარეშე სესიის დღის წესრიგი ამოიწურა და დახურულად აცხადებს კავშირის საბჭოს რიგგარეშე სესიას.

საინფორმაციო ცნობა

ეროვნებათა საბჭოს 1939 წლის 1 სექტემბრის სხდომის შესახებ

1 სექტემბერს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომის დარბაზში, კრემლში, შესდგა ეროვნებათა საბჭოს მეოთხე სხდომა.

თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი.**

ეროვნებათა საბჭო ისმენს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის შესწორებათა განმხილველი და იმავე კანონის საბოლოო ტექსტის მომმზადებელი კომისიის თავმჯდომარის **მ. ა. ბურმისტენკოს** მოხსენებას.

დეპუტატ ბურმისტენკოს მოხსენების დამთავრების შემდეგ ეროვნებათა საბჭო გადადის „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის“ კენჭის ყრასა და დამტკიცებაზე.

ეროვნებათა საბჭო ერთხმად ამტკიცებს „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონს“ ჯერ კარების მიხედვით, ხოლო შემდეგ მთლიანადაც.

საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის შესწორებათა განმხილველი და იმავე კანონის საბოლოო ტექსტის მომმზადებელი კომისიის მოხსენებით გამოვიდა კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი **პ. ა. ტიურკინი.**

ეროვნებათა საბჭო ერთხმად ამტკიცებს „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონს“ ჯერ კარების მიხედვით, ხოლო შემდეგ მთლიანადაც:

თავმჯდომარე—ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი** აუწყებს სხდომას, რომ მეოთხე, რიგგარეშე სესიის დღის წესრიგი ამოიწურა და დახურულად აცხადებს ეროვნებათა საბჭოს მეოთხე რიგგარეშე სესიას.

სესიის 1939 წლის 1 სექტემბრის სხდომის დღიური

კავშირის საბჭოში

1 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, კრემლში, შესდგა კავშირის საბჭოს უკანასკნელი სხდომა.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ა. ა. ანდრეევი** და მისი მოადგილე—დეპუტატი **ტ. დ. ლისენკო.** ლოჟებში სხედან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და სახალხო კომისრები, რომელთაც მთელი დარბაზი მხურვალე ტაშით შეეგება.

თავმჯდომარე — დეპუტატი **ა. ა. ანდრეევი** მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის შესწორებათა განმხილველი და ამავე კანონის საბოლოო ტექსტის მომმზადებელი კომისიის თავმჯდომარეს, დეპუტატ **მ. დ. ბაგიროვს.** მომხსენებელი სესიას აუწყებს, რომ კომისიამ მხედველობაში მიიღო დეპუტატების მოსაზრებანი და მთელი რიგი ცვლილებები, დამატებები და შესწორებები შეიტანა კანონპროექტში.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონს კენჭს უყრიან კარების მიხედვით, ხოლო შემდეგ ერთხმად ამტკიცებენ მთლიანად კომისიის მიერ წარმოდგენილი დამატებებით, შესწორებებითა და ცვლილებებით.

სიტყვა ეძლევა საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის შესწორებათა განმხილველი **და** ამავე კანონის საბოლოო ტექსტის მომმზადებელი კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **დ. ს. კოროტჩენკოს,** რომელიც მოახსენებს სესიას კომისიის მიერ კანონპროექტისათვის შემოტანილი შესწორებების, ცვლილებებისა და დამატებათა შესახებ. საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის ტექსტს, კომისიის მიერ წარმოდგენილს კენჭს უყრიან კარების მიხედვით, ხოლო შემდეგ ერთხმად ამტკიცებენ მთლიანად.

სესიის დღის წესრიგი ამოიწურა. თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. ანდრეევი** დახურულად აცხადებს კავშირის საბჭოს მეოთხე რიგგარეშე სესიას.

ეროვნებათა საბჭოში

1 სექტემბერს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე, კრემლში, შესდგა ეროვნებათა საბჭოს უკანასკნელი სხდომა.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე — დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი,** ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—დეპუტატი **ჩ. ა. ასლანოვი.** ლოჟებში სხედან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და სახალხო კომისრები. მათ გამოჩენას მხურვალე ტაშით ეგებება მთელი დარბაზი.

თავმჯდომარე დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი** მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის შესწორებათა განმხილველი და იმავე კანონის საბოლოო ტექსტის მომმზადებელი კომისიის თავმჯდომარეს, დეპუტატ **მ. ა. ბურმისტენკოს.**

ამხ. ბურმისტენკო მოახსენებს სესიას იმ შესწორებათა, ცვლილებათა და დამატებათა შესახებ, რომლებიც კომისიას, იღებს რა მხედველობაში კამათში გამოსულ დეპუტატთა შენიშვნებს, საჭიროდ მიაჩნია შეიტანოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პროექტში.

სიტყვა ეძლევა საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონისათვის შეტანილ შესწორებათა განმხილველი და იმავე კანონის საბოლოო ტექსტის მომმზადებელი კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **პ. ა. ტიურკინს.** იგი აუწყებს სესიას იმ შესწორებათა, ცვლილებათა და დამატებათა შესახებ, რომლებიც კომისიას შეაქვს კანონის პროექტში და დასამტკიცებლად უდგენს ეროვნებათა საბჭოს.

ეროვნებათა საბჭო ჯერ კარების მიხედვით, ხოლო შემდეგ მთლიანად იღებს ერთსულოვნად საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონს.

ეროვნებათა საბჭოს სესიის დღის წესრიგი ამოწურულია. თავმჯდომარე ამხანაგი შვერნიკი დახურულად აცხადებს ეროვნებათა საბჭოს სესიას. (საკვლესი).

ეროვნებათა საბჭოს 1939 წლის 29 აგვისტოს სხდომა

კამათი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პროექტის შესახებ გაკეთებული მოხსენების გამო

დეპუტატ **გ. თ. სვურკუას** სიტყვა

ამხანაგებო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებო! სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პროექტი, რომელიც წარმოდგენილია ახლანდელ სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად, ისეთ დოკუმენტს წარმოადგენს, რომელსაც უდიდესი სამეურნეო - პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ჩვენი საბჭოთა ქვეყნისათვის.

ბოლშევიკური პარტიის, მთელი მშრომელი კაცობრიობის გენიალური ბელადის დიდი სტალინის ბრძნულმა პოლიტიკამ მატერიალური და კულტურული აყვავება უზრუნველჰყო საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალ კანონს უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მიწათმოქმედების შემდგომი განვითარებისათვის, კოლმეურნეობათა სამეურნეო - პოლიტიკური განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოს, რომელიც მტკიცე ნაბიჯით მიდის თავისი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის სტალინურმა გზამ საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანი გლეხობა შეძლებულ, სასიხარულო ცხოვრებამდე მიიყვანა. საბჭოთა კავშირს სოციალისტური სოფლის მეურნეობა ყველაზე მოწინავე, ყველაზე მსხვილ მეურნეობას წარმოადგენს მსოფლიოში.

საკოლმეურნეო წყობილების სტალინურ გამარჯვებათა შესანიშნავ დემონსტრაციას წარმოადგენს სრულიად-საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენა, რომელიც მკაფიოდ გვიჩვენებს, თუ როგორ იცვალა სახე სოფლის მეურნეობამ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით. გამოფენა მთელს მსოფლიოს უჩვენებს იმ საკოლმეურნეო წყობილების ძალას, რომელმაც სავსებით გაიმარჯვა ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენს სოფლის მეურნეობას ჩვენი საბჭოთა ხალხის წიაღიდან გამოსულ ადამიანთა ძვირფასი კადრები მოეპოება, რომლებიც სოციალისტური მიწათმოქმედების ტექნიკას დაეუფლნენ და ბეჯითად მუშაობენ მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის დიად გამარჯვებათა მკაფიო მაგალითს წარმოადგენს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაგალითო აყვავება, იმ რესპუბლიკისა, რომელსაც, სხვა მომმე რესპუბლიკებსავით, უდიდესი წარმატებები აქვთ სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია რამდენიმე ციფრი მოვიყვანოთ. მეორე ხუთწლედის გეგმით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ჩვენ უნდა დაგვებანდებინა 2.023.000.000 მანეთი, ფაქტიურად კი დაბანდებულია 2.240.800.000 მანეთი (გამოტოვებულია).

საგრძნობლად გაიზარდა სოციალისტური სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია. განსაკუთრებით დიდი წარმატებები აქვს საქართველოს სს რესპუბლიკას ძვირფასი ტექნიკური და სპეციალური კულტურების—ჩაის, ციტრუსებისა და სხვ. ათვისების დარგში. მაგალითად, ჩაის

პლანტაციების ფართობი 1939 წლის პირველი მაისისათვის მთელს რესპუბლიკაში 46.128 ჰექტარს შეადგენდა (აქედან საბჭოთა მეურნეობებში—7.575 ჰექტარია).

წლების მიხედვით ჩაის პლანტაციების ფართობების ზრდის დინამიკა შემდეგ სურათს იძლევა: 1932 წლის დამლევისათვის ჩვენ გვქონდა 25.549 ჰექტარი, ხოლო 1939 წლის პირველი მაისისათვის გვაქვს 46.128 ჰექტარი, ე. ი. თითქმის ეროვნიერად და კიდევ მეტი, ვიდრე 1932 წელს.

ჩაის ფოთლის საერთო მოსავალი და საშუალო მოსავლიანობა ერთ ჰექტარზე წლების მიხედვით შემდეგნაირად იზრდებოდა: 1932 წელს 1.509 ტონა ფოთოლი მოვკრიფეთ და საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 701 კილოგრამი იყო, 1938 წელს კი 35.356 ტონა მოვკრიფეთ და საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 2.185 კილოგრამი გვქონდა, ე. ი. სამჯერ მეტი, ვიდრე 1932 წელს. 1939 წლის გეგმით გათვალისწინებულია 43.100 ტონა ჩაის ფოთლის საერთო მოსავალი, ჰექტარზე 2.200 კილოგრამი საშუალო მოსავლიანობა.

საქართველოს სს რესპუბლიკაში 1932 წლიდან 1939 წლამდე ჩათვლით ციტრუსოვანთა ნარგავების ფართობის ზრდის ნათელ სურათს იძლევა შემდეგი ციფრები: მანდარინის მთელი ფართობი 1932 წელს უდრიდა 1.915 ჰექტარს, 1939 წელს კი 12.187 ჰექტარს უდრის, ლიმონის მთელი ფართობი 1932 წელს იყო 51 ჰექტარი, 1939 წელს კი—3.007 ჰექტარი, ფორთოხლის მთელი ფართობი 1932 წელს უდრიდა 41 ჰექტარს, ხოლო 1939 წელს იგი 547 ჰექტარს უდრის, 1932 წელს ჩვენ არცერთი ჰექტარი გრეიპფრუტის ნარგავი არა გვქონია, 1933 წელს 2 ჰექტარი გვქონდა, 1939 წელს კი 124 ჰექტარი გვაქვს; სულ ციტრუსოვანთა ნარგავების ფართობი 1932 წელს 2.006 ჰექტარს უდრიდა, 1939 წელს კი იგი 15.865 ჰექტარს შეადგენს.

უკანასკნელი 7-8 წლის მანძილზე ჩვენ განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მივაღწიეთ საქართველოს მეთამბაქოეობის განვითარების საქმეში. თუ 1931 წელს ერთ ჰექტარ ფართობზე 3,87 ცენტნერი თამბაქო ავიღეთ, 1938 წელს თითო ჰექტარმა 8,35 ცენტნერი მოგვცა, ამასთან გაიზარდა თამბაქოს პროდუქციის ხარისხიანობაც; ამის შედეგად საქართველოს კოლმეურნეობები სახელმწიფოსათვის დამზადების წესით ჩაბარებულ თამბაქოში ყოველ წელიწადს ას მილიონ მანეთზე მეტს შემოსავალს იღებენ.

კაპიტალდაბანდებანი საქართველოს კოლმეურნეობებში 1937 წელს შეადგენდა 109.567 ათას მანეთს, 1938 წელს კი—136.190 ათას მანეთს.

კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი 1937 და 1938 წლებში (კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშების მონაცემების მიხედვით) შემდეგ სურათს იძლევა: 1937 წელს—314.974 ათასი მან., 1938 წელს — 364.740 ათასი მან.

ეს წარმატებანი პარტიისა და მისი ბრძენი ბელადის, ამხანაგ სტალინის სწორი პოლიტიკის შედეგს წარმოადგენენ.

ამ წარმატებებს ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ აგრეთვე დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ამხ. ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოსა და ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს და მუშაობის სტალინური სტილი ჩაუნერგა მათ.

გადავდივარ რა უშუალოდ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის პროექტზე, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ პროექტი სავსებით გამოხატავს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას საკოლმეურნეო მშენებლობის, კოლმეურნეობათა პოლიტიკური და სამეურნეო განმტკიცების შემდგომი განვითარების დარგში.

მაგრამ პროექტის ზოგიერთი მონაცემი დაზუსტებას საჭიროებს, რასაც, ვფიქრობ, სპეციალური კომისია გააკეთებს, რომელიც, უეჭველია, არჩეული იქნება პროექტის საბოლოო რედაქციისათვის.

მე მინდა აქ აღვნიშნო, რომ თუ ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშებას შეუსწ

საყოველთაო მობილიზაცია პოლონეთში

ვარშავა, 30 აგვისტო (საკდესი). დღეს გამოქვეყნებულია ცნობა, რომ პოლონეთში 31 აგვისტოს ჩატარდება საყოველთაო მობილიზაცია. მობილიზაცია ეხება 40 წლამდე ასაკის მამაკაცებს.

პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობა

ვარშავა, 30 აგვისტო (საკდესი). როგორც პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 25 აგვისტოს გერმანიის პოლიცია შეიჭრა პოლონეთის საკონსულოს შენობაში ქალაქ მარიენვერდერში (აღმოსავლეთი პრუსია), რის შემდეგ პოლონეთის კონსული სამი დღის განმავლობაში დაპატიმრებული იყო საშინაო წესით. 29 აგვისტოს პოლონეთის კონსული საპოლიციო ავტომობილით გადაიყვანეს პოლონეთის გენერალურ საკონსულოში — კენიგსბერგში. სააგენტო აღნიშნავს, რომ გერმანიის ლეგეული და ტეშინელი კონსულები პოლონეთის პოლიციის მიერ გადაყვანილი იქნებიან ჰერმანიის ვარშავის საელჩოში.

საფრანგეთ-გერმანიის საზღვრის დახურვა

ბერლინი, 30 აგვისტო (საკდესი). პარიზიდან იუწყებიან, რომ დაიხურა გერმანია-საფრანგეთის საზღვარი, რომელიც რეინზე გადის. უკანასკნელმა მატარებელმა საზღვარზე 28 აგვისტოს დილით გაიარა.

სომარი მზადება შვეიცარიაში

პარიზი, 30 აგვისტო (საკდესი). გუშინ დილიდან შვეიცარიის სანაპირო დაცვის ჯარი მოვიდა საზღვარზე, წინასწარ დანიშნულ პუნქტებში. 29 აგვისტოსათვის მობილიზებულია 100 ათასამდე კაცი. დღეს შეიკრიბება საკავშირო კრება მთავრობისათვის საგანგებო რწმუნებათა მისაცემად და საკავშირო არმიის სარდლის დასანიშნავად.

მოსავლის კონფისკაცია გერმანიაში

ლონდონი, 29 აგვისტო (საკდესი). ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტო ბერლინიდან იუწყება, რომ გერმანიის მთავრობამ კონფისკაცია უყო ამ წლის მთელ მოსავალს.

ბულგარელები ინგლისიდან მიდიან

ლონდონი, 29 აგვისტო (საკდესი). ინგლისში მცხოვრებ ბულგარელ მოქალაქეებს წინადადება მიეცათ სამშობლოში დაბრუნდნენ.

სამგზავრო მაგარეგლების მოძრაობის შეწყვეტა პოლონეთსა და გერმანიას შორის

ვარშავა, 29 აგვისტო (საკდესი). როგორც პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ორი სამგზავრო მატარებელი, რომლებიც რეგულარულად მოძრაობდნენ პოლონეთსა და გერმანიას შორის, ამ დღეებში დაკავებულ იქნა გერმანიაში. როგორც გაზეთი „დობრი ვეჩურ" იუწყება, პოლონეთ-გერმანიის საზღვარზე პოზნანის სავოევოდოს გასწვრივ, გერმანიის ხელისუფლებამ 8 საზღვრისპირა გასავალი დახურა და აქ მავთულის ხლართები ააგო.

შესწყდა საჰაერეფონო კავშირი ლონდონს, პარიზსა და რომს შორის

რომი, 30 აგვისტო (საკდესი). იტალიის დეპეშათა სააგენტო სტეფანი, ემყარება რა რეიტერის სააგენტოს, იუწყება, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის შეწყვეტილია სატელეფონო კავშირი. სტეფანის სააგენტო იუწყება აგრეთვე, რომ სატელეფონო და საფოსტო კავშირი შეწყვეტილია ინგლისსა და იტალიას შორისაც.

ლათინური ამერიკა და მდგომარეობა ევროპაში

ნიუ-იორკი, 29 აგვისტო (საკდესი). კოლუმბიაში სახელმწიფო ბანკმა შეაჩერა გერმანული მარკის ოპერაციები. ურუგვაის სახელმწიფო ბანკმა შეაჩერა უცხოეთის ვალუტის შეფასება.

სკანდინავიის ქვეყნების მთავრობათა ღონისძიებანი

სტოკჰოლმი, 31 აგვისტო (საკდესი). შვეიცის, ნორვეგიისა და დანიის მთავრობებმა მთელი რიგი სამხედრო ღონისძიებანი გაატარეს. შვეიცარიაში გაწვეულია ორი ასაკის სამხედრო ვალდებულთა ზოგიერთი კატეგორია სამხედრო - საზღვაო ფლოტსა და სანაპირო არტილერიაში სამსახურისათვის და გაგზავნილია კარლსკრონასა და გეტებორგში.

ნორვეგიამ მოახდინა ნაწილობრივი გაწვევა სანაპირო დამცველ ჯარში სამსახურისათვის, ხოლო დანიამ — საჰაერო თავდაცვის ჯარში სამსახურისათვის. სამივე ქვეყანამ აკრძალა მთელი რიგი საქონლის ექსპორტი.

მოკლე ცნობები

(საკდესის მასალების მიხედვით)

- სტამბოლის ნავსადგურიდან გერმანიაში გაბრუნდა გერმანიის ყველა გემი ისე, რომ სტამბოლში არ გადაუტვირთავთ ჩატანილი საქონელი.
- პოლონეთის პრესა იუწყება, რომ პოლონეთიდან გაემგზავრა გერმანიის გაზეთების ყველა კორესპონდენტი.
- ინგლისში ომის შემთხვევისათვის დამზადებულია 80 მილიონი სასურსათო ბარათი და მოწყობილია 1.500 სასურსათო კომიტეტი.

იაპონიის ახალი მთავრობის შემადგენლობა

ტოკიო, 30 აგვისტო (საკდესი). დღეს გენერალმა აბე ნობუიუკიმ საბოლოოდ შეადგინა ახალი კაბინეტი. იმპერატორმა დაამტკიცა კაბინეტის შემადგენლობა.

ახალ კაბინეტში შემდეგი პირები შედიან:

პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი გენერალი აბე ნობუიუკი.

შინაგან საქმეთა მინისტრი, იგივე ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — ოხარა ნაოსი (ზედა პალატის წევრი, 1935-36 წელს ოკადას კაბინეტში იუსტიციის მინისტრად იყო).

ფინანსთა მინისტრი — აოკი კაძუო (დიდხანს იყო ფინანსთა სამინისტროს თვალსაჩინო მოხელე, უკანასკნელ ხანს სათავეში ედგა კაბინეტთან არსებულ საგეგმო ბიუროს). შეთავსებით სათავეში უდგას კაბინეტთან არსებულ საგეგმო ბიუროს.

სამხედრო მინისტრი გენერალი ხატა სიუნროკუ (უკანასკნელ დრომდე იმპერატორის მთავარი ადიუტანტი იყო. წინათ ეკავა საჰაერო ძალთა შტაბის უფროსის, სამხედრო სწავლის გენერალური ინსპექტორის და ფორმოზის ჯარის სარდლის პოსტები. 1938 წელს იაპონიის ჯარს სარდლობდა ჩინეთის ცენტრალურ ფრონტზე).

საზღვაო მინისტრი — ვიცე-ადმირალი იოსიდა ძენგო (უკანასკნელ დრომდე სარდლობდა იაპონიის ფლოტს შეერთებულ ესკადრას).

იუსტიციის მინისტრი — მიაგი ციოგორო (ქალაქ ნაგოის სააპელაციო სასამართლოს ყოფილი მთავარი პროკურორი).

განათლების მინისტრი — კავარადა კაკიცი (ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი , გენერალ ხაიასის კაბინეტში 1937 წელს).

ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი, იგივე მიწათმოქმედებისა და მეტყევეობის მინისტრი — გადამდგარი ვიცე-ადმირალი გოდო ტოკუო (სრულიად - იაპონიისა და ტოკიოს საგაჭრო-სამრეწველო პალატების თავმჯდომარე, ვაჭრობისა და მრეწველობის ყოფილი მინისტრი გენერალ ხაიასის კაბინეტში 1937 წელს, სამხრეთ-მანჯურიის რკინიგზის ყოფილი დირექტორი და „სიოვას" ფოლადსამსხმელო ქარხნების კომპანიის პრეზიდენტი მანჯურიაში).

კავშირგაბმულობის მინისტრი, იგივე რკინიგზის მინისტრი — ნაგაი რიუტარო (მინსეიტოს პარტიის ყოფილი გენერალური მდივანი, კოლონიების ყოფილი მინისტრი საიტოს კაბინეტში 1932-34 წელს).

კოლონიების მინისტრი — კანიმიცუ ცუნეო (სეიიუკაის პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე, იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის თავმჯდომარე) .

კაბინეტის მთავარი მდივანი — ენდო რიუძაკი.

კაბინეტის საკანონმდებლო ბიუროს უფროსი — კარაძავა ტოსიტაცუ.

ერთი მინისტრის ხელში რამდენიმე პორტფელის თავის მოყრა დროებით ღონისძიებად მიაჩნიათ. შემდეგ კი საგარეო საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა, რკინიგზისა და მიწათმოქმედებისა და მეტყევეობის მინისტრების პოსტებზე სათანადო პირები დაინიშნებიან.

ჰიტლერის პასუხი ინგლისის წერილზე

ბერლინი, 30 აგვისტო (საკდესი). გუშინ საღამოს ჰიტლერმა რიბენტროპის თანდასწრებით მიიღო ინგლისის ბერლინელი ელჩი ჰენდერსონი. ამასთან ინგლისის ელჩს გადაეცა ჰიტლერის პასუხი ინგლისის მთავრობის უკანასკნელ წერილზე.

ინგლისის ელჩის მიღების შემდეგ ჰიტლერმა მიიღო იტალიის ბერლინელი ელჩი ატოლიკო.

სამოგზაურო ღონისძიებანი იტალიაში

რომი, 30 აგვისტო (საკდესი). იტალიის ყველა გზეთი პირველ გვერდზე ათავსებს ხელისუფალთა განცხადებას, რომელიც მოუწოდებს დიდ ქალაქში მცხოვრებ ოჯახთა მამებს პროვინციასა და პატარა ქალაქებში გაჰგზავნონ თავიანთი ცოლ-შვილი.

გამოქვეყნდა დადგენილება, რომლის მიხედვითაც 3 სექტემბრიდან, ბენზინის ეკონომიის მიზნით, სწყდება კერძო ავტომობილების ყოველგვარი მოძრაობა.

ყველა რესტორანს წინადადება მიეცა თითო მომსვლელს მხოლოდ ერთი კერძი ხორცი ან თევზი მისცენ.

გამოქვეყნდა დეკრეტი, რომელიც კერძო თვითმფრინავებს უკრძალავს იტალიის ტერიტორიაზე ფრენას.

თემთა პალატის სხდომა

ლონდონი, 29 აგვისტო (საკდესი). პარლამენტის სხდომა ხანგრძლივი არ იყო. თავიდანვე იცოდნენ, რომ ბრიტანეთის ნოტაზე ჰიტლერის პასუხი ჯერ კიდევ არ არის მიღებული და ამიტომ პრემიერი მოლაპარაკების შინაარსის გამოქვეყნებას არ აპირებს.

ის დაკმაყოფილდა იმის განმეორებით, რომ ინგლისის მთავრობა, რჩება რა პოლონეთთან დადებული ხელშეკრულების ერთგული, შეეცდება მიაღწიოს კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტას. ჩემბერლენმა თავის გამოსვლაში უმთავრესად და დაწვრილებით ილაპარაკა იმ თავდაცვითს ღონისძიებებზე, რომელიც ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო.

პრემიერის წინადადებით პარლამენტის შემდეგი სხდომა შესდგება 5 სექტემბერს.

დღეს ლორდთა პალატაში ჰალიფაქსმა ჩემბერლენის მიერ თემთა პალატაში გაკეთებული განცხადების ანალოგიური განცხადება გააკეთა.

პოლონეთის პროტესტი სლოვაკიას

ვარშავა, 30 აგვისტო (საკდესი). პოლონეთის მთელი პრესა კომენტარიებს უკეთებს ტისოს მთავრობის მოწოდებას სლოვაკიის მოსახლეობისადმი „გერმანიის ჩამოსულ ჯართან ითანამშრომლოს საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში". პოლონეთის მთავრობის კომუნიკეში ამის თაობაზე აღნიშნულია, რომ მომენტი, რომელიც სლოვაკიამ შეარჩია, რათა პოლონეთი თავის მტრად გამოეცხადებინა, იმას მოწმობს, რომ მესამე სახელმწიფოს გავლენით სლოვაკიის მთავრობა თავის ქვეყნის ბატონ-პატრონი აღარ არის.

პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ პოლონეთის მთავრობამ სასტიკი პროტესტი განუცხადა სლოვაკიის ვარშაველ ელჩს სლოვაკიის მთავრობის მოწოდებისა და სლოვაკიაში წარმოებული ანტიპოლონური კამპანიის გამო.

სომარი სამზადისი გერმანიაში

ლონდონი, 30 აგვისტო (საკდესი). გაზეთ „დეილი ექსპრესის" ბრატისლაველი კორესპონდენტი იუწყება, რომ გერმანელებს სლოვაკიაში გაძლიერებული სამზადისი აქვთ ომისათვის. კორესპონდენტის სიტყვით, 28 აგვისტოს ღამით სლოვაკიაში ჩავიდა 80.000 გერმანელი ჯარისკაცი — ნაწილი ავსტრიიდან, ნაწილი ჩეხიიდან და მორავიიდან. გერმანიის ჯარის ახალი რაზმები კვლავ ჩადიან სლოვაკიაში. ენგერაუში (მდინარე დუნაიზე) ჩავიდა გერმანიის 3 მონიტორი და 3 დიდი ნავთსასხმელი ტანკერი. მათ ჩაიტანეს საწვავი მასალა მოტომექანიზებული ნაწილებისა და თვითმფრინავებისათვის.

ნაწილობრივი მობილიზაცია დანიაში

რომი, 30 აგვისტო (საკდესი). სტეფანის სააგენტო კოპენჰაგენიდან იუწყება, რომ დანიის მთავრობამ გამოაცხადა სამი ასაკის რეზერვისტთა მობილიზაცია.

სომარი მზადება ვარშავაში

პარიზი, 31 აგვისტო (საკდესი). როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, რეზერვისტების გაწვევის შედეგად ვარშავაში კომუნალური ტრანსპორტის მომსახურე პერსონალის ნაკლებობაა. დღეიდან შემცირებულია მიმმსვლელი ავტობუსებისა და ტრამვაების რაოდენობა. გაზეთები მოუწოდებენ მოსახლეობას — რაც შეიძლება ნაკლებად მიმართონ ტელეფონით ლაპარაკს. ფიქრობენ, რომ მალე ძალაში შევა კანონი, რომელიც მთავრობას ნებას მისცემს მოახდინოს 17 — 60 წლის ასაკის ყველა მოქალაქის მობილიზაცია ნაციონალური თავდაცვისათვის საზოგადოებრივ სამუშაოთა საწარმოებლად.

სამგზავრო მაგარეგელთა მიმოსვლის აკრძალვა კოლანდიაში

ლონდონი, 31 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, მთელს ჰოლანდიაში ხვალისა და ზეგისათვის შეწყვეტილია ყველა სამგზავრო მატარებლის მიმოსვლა. რკინიგზები დაკავებულია მხოლოდდამხოლოდ ჯარის გადასაყვანად და საომარი საჭურველის გადასატანად.

გერმანიაში შეიქმნა „სახელმწიფოს თავდაცვის მინისტრთა საბჭო"

ბერლინი, 31 აგვისტო (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა ჰიტლერის 30 აგვისტოს დეკრეტი „სახელმწიფოს თავდაცვის მინისტრთა საბჭოს" შექმნის შესახებ. „საბჭოში" მუდმივ წევრებად შედიან: გერინგი (თავმჯდომარე), გესი, ფრიკი, ფუნკი, ჰიტლერის კანცელარიის უფროსი — მინისტრი ლამერსი და გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის ხელმძღვანელი უეიტელი. „სახელმწიფოს თავდაცვის მინისტრთა საბჭოს" მინიჭებული აქვს უფლება გამოსცეს განკარგულებანი, რომლებსაც კანონის ძალა ექნებათ.

დიდი რევოლუციონერი მწერალი

(ა. ნ. რადიშჩევის დაბადების 190 წლისთავისათვის)

1790 წელს, პუგაჩოვთან მეფის თვითმპყრობელობის მხეცურად გასწორების თხუთმეტი წლის შემდეგ და საფრანგეთის რევოლუციური ხალხის მიერ მეფე ლუდოვიკო XVI-ის სიკვდილით დასჯის სამი წლის შემდეგ, რუსეთში გამოვიდა წიგნი, რომელიც გახდა ჩვენს ლიტერატურაში რევოლუციური აზროვნებისა და რევოლუციური გრძნობის მამამთავარი,—ა. ნ. რადიშჩევის შესანიშნავი „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვში".

რადიშჩევმა თავისი წიგნი დაბეჭდა მის მიერ სპეციალურად სახლში მოწყობილ სტამბაში. ცენზორმა, რომელიც შეცდომაში შეიყვანა წიგნის სათაურმა, თითქმის წაუკითხავად მოაწერა ხელი მისი დაბეჭდვის ნებართვას. ამავე დროს კი ამ უწყინარი გეოგრაფიული სათაურის ქვეშ იმალებოდა უდიდესი დამარღვეველი ძალის ნაწარმოები, რომელიც ლახვარს სცემდა თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილების ძირითად საფუძვლებს.

ეკატერინე II-მ, რომელმაც, მისი საკუთარი სიტყვით, „გამოწვლილვით" წაიკითხა რადიშჩევის წიგნი, აღშფოთებული იგი აღშფოთებული და ბოროტი შენიშვნებით. „პუგაჩოვზე უარესი მეამბოხეა!"— შეძახწუხებული ამბობდა იგი ავტორის შესახებ.

„მოგზაურობა" დაბეჭდილი იყო ავტორის სახელის აღუნიშნავად, მაგრამ ეჭვი თავიდანვე რადიშჩევზე მიიტანეს. პატარა პეტერბურგელი მოხელე, სამსახურებრივ კიბეზე საკმაოდ დაბლა მდგომი რადიშჩევი მაინც ძალიან მკაფიო და შესამჩნევი ფიგურა იყო. იგი განსაკუთრებული (ოდნით აღბეჭდილი, ენციკლოპედიური განათლების მქონე ადამიანი იყო. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში რადიშჩევი ახალგაზრდათა ჯგუფთან ერთად გაიგზავნა უცხოეთში, ლეიპციგში, იურიდიულ მეცნიერებათა შესასწავლად. ახალგაზრდები ლეიპციგში სწავლობდნენ არა მარტო იურისპრუდენციას, არამედ ფრანგ



მატერიალისტებსაც კითხულობდნენ. ოცდაორი წლის რადიშჩევი რუსეთში დაბრუნდა სავსებით მომზადებულ მოაზროვნედ, ყოველგვარი ჩაგვრისა და ძალადობის მტკიცე მოწინააღმდეგედ და ამასთან ერთად მგზნებარე პატრიოტად, რომელიც მზად იყო სიცოცხლე შეეწირა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რადიშჩევმა იმ დროის ყველაზე გაბიდულ და მოწინავე სატირულ ჟურნალში — ნოვიკოვის „ყიფო